# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 5 სექტემბერი, 2008 წელი.

№ 166 (6024)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## რატომ გაყო თავი რუსეთის მიერ დაგებულ ხაფანგში საქართველოს ხელისუფლებამ?

*ყოველივე ამის „შემოქმედი“ საქართველოს ხელისუფლებაა, რომელიც წლების განმავლობაში განხორციელებული თავისი არაკომპეტენტური, ანტიდემოკრატიული და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით თანდათან ამზადებდა და აახლოვებდა ასეთ კატასტროფულ ვითარებას, დღეს საკუთარ მოქალაქეებს უმტკიცებს, თითქოს ეს კატასტროფა საქართველოსათვის გარდაუვალი იყო და მისი აცილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა*



5

## მეგობრობის გზავნილი ამერიკელი ხალხისგან

**ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი თბილისს ეწვია.**

მაღალი რანგის სტუმარს აეროპორტში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე და საგარეო უწყების ხელმძღვანელი ეკა ტყეშელაშვილი დახვდნენ.

თბილისში კიდევ ერთი თვითმფრინავით აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებიც ჩამოვიდნენ.

დიკ ჩეინი აეროპორტიდან პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში გაემგზავრა.

დაგეგმილ ერთობლივ ბრიფინგზე. ჩეინმა და სააკაშვილმა დახმარების დეტალებზეც ისაუბრეს, რომელსაც ამერიკა საქართველოს გამოუყოფს.

2

## ფარმან ჯეირანლი:

## მსოფლიო ხედავს, რომ რუსეთში ნამდვილი ფაშიზმი მძვინვარებს

6

*სწორედ იმიტომ, რომ ქართველებმა არ დაივიწყეს საბჭოთა ოკუპაცია, მათ არ სურთ უკან დაბრუნება, როგორც მოლდოვას, ყირიმს და უკრაინას, რომ აღარაფერი ვთქვათ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთზე, ჩვენს ევროპელ თანამემამულეებზე. ყველა ამ ხალხს აშინებს მოსკოვის იმპერიული პოლიტიკა.*





8

## ვილაცას ოქრუაშვილის ლანდი მოსვენებას არ აძლევს

12

**სოსო ცისკარიშვილი:**

კრემლი საქართველოს კი არა, მთელი პლანეტის ცივილიზაციას ეპაექრება



2

**პაოლო გუზანტი:**

რუსეთის აგრესიის შემდეგ საქართველო დიდი ზნეობრივი მაგალითი გახდა...



3

**ერეკლე სალლიანი:**

კოლორის ხეობას ვერც ბომბებით აიღებდნენ, რომ არა...



4

## მთავრობა - პაპაბიტური, დაქირავებული ჯარი - ბანდიტური, მოსახლეობასთან ურთიერთობის მეთოდი - ყაჩაღური

7

# მეგობრობის გზავნილი ამერიკელი ხალხისგან

## მიხეილ სააკაშვილი: ჩვენს წინაშე ძალიან ბევრი გამოწვევაა და მზად ვართ, თავი გავართვათ ამ გამოწვევებს

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტთან, დიკ ჩეინთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ყურადღება აშშ-სა და საქართველოს პარტნიორობის საკითხზე გაამახვილა.

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო შეერთებული შტატებისაგან განსაკუთრებულ მხარდაჭერას გრძნობს და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოსა და აშშ-ს ბევრი საერთო ღირებულებები გააჩნია.

აშშ-ის მხარდაჭერა ძლიერია, ვიდრე აქამდე და ეს მიანიშნებს კიდევ ერთხელ იმაზე, რამდენად ახლოსაა ეს ორი ქვეყანა. ჩვენ ნამდვილად გვაქვს ერთობლივი ღირებულებები და ჩვენი ხალხი არის ერთიანი. სხვა პარტნიორებთან ერთად ჩვენ უნდა ავაშენოთ საქართველო. ჩემი ნომერ პირველი პრიორიტეტია, რომ ეს ქვეყანა აღდგეს. ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, მაგრამ ჩვენი სულისკვეთება ძალიან ძლიერია. ჩვენ ვართ თავისუფლებისმოყვარე ერი და ეს თავისუფლების სიყვარული კიდევ უფრო ძლიერია. ჩვენს წინაშე არის ძალიან ბევრი გამოწვევა და ჩვენ მზად ვართ თავი გავართვათ ამ გამოწვევებს. ჩვენ დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ არ ვდგავართ მარტო ამ გაჭირვებაში. ჩვენ ვგრძნობთ ძალიან დიდ მხარდაჭერას როგორც ევროპიდან, ისე ამერიკიდან, ჩინეთიდან იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ეს ქვეყნები საქართველოს გვერდით დგანან და ვფიქრობ, რომ ამ მხარდაჭერის ფონზე ჩვენ მივაღწევთ დიდ წარმატებას და ავყვავდებით, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეთნოწმენდა განხორციელდა და მსოფლიომ არ უნდა დაუშვას ამ ეთნოწმენდის ლეგალიზაცია.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, თუ მსოფლიოში ამ ეთნოწმენდის ლეგალიზება მოხდება, ეს უამრავი ადამიანის ადამიანური ტრაგედიის ლეგალიზება იქნება.

უნდა გაგრძელდეს დაგმობა ამ ყველაფრისა, უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვა. საქართველო არის მშვიდობისმოყვარე ქვეყანა, ჩვენ ვიბრძვით ძალადობის წინააღმდეგ, შესაბამისად, ჩვენ ავიღეთ ვალდებულება ყველა ეს პრობლემა იყოს მოგვარებული მშვიდობიანად. ჩვენ მზად ვართ, დიალოგის რეჟიმში ვიმუშაოთ ყველასთან და შესაბამისად, ვითანამშრომლებთ როგორც ყველა სახელმწიფოსთან მსოფლიოში, ისე ყველა მეზობელთან. განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

## დიკ ჩეინი: ყველა ქართველი იმსახურებს, იცხოვროს, როგორც თავისუფალი ერის შვილმა

მინდა საქართველოს მეგობრის და მოკავშირის ჯორჯ ბუშის მოკითხვა გადმოგცეთ. ის იმყოფებოდა თქვენს დედაქალაქში და ქართველ ხალხთან სასიამოვნო მოგონებები აკავშირებს. იგივე სითბო მეც ვიგრძენი და მიხარია აქ ყოფნა — ასე დაიწყო გამოსვლა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, თბილისში სტუმრად მყოფმა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ.



აშს-ს ვიცე-პრეზიდენტმა ქართველ ხალხს ამ, საქართველოსთვის მეტად რთულ პერიოდში ამერიკელი ხალხის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა:

ამერიკელებმა კარგად იციან იმ სირთულეების შესახებ, რომლის წინაშეც უკანასკნელი სამი-ოთხი კვირის განმავლობაში დგახართ. ჩვენ ქართველ ხალხის გვერდით ვართ. ამერიკა დაეხმარა ამ მამაც, ახალგაზრდა, დემოკრატიულ ქვეყანას, მას შემდეგ, რაც თქვენმა ერმა ვარდების რევოლუციის დროს თავისუფლება მოიპოვა. ჩვენ იგივეს ვაკეთებთ, როდესაც თქვენ ცდილობთ გაუმკლავდეთ თქვენს დამოუკიდებელ ტერიტორიაზე განხორციელებულ თავდასხმას და ცალმხრივ, ამ არაკანონიერ მცდელობებს იმისას, რომ თქვენი ქვეყნის ფარგლები შეცვალონ, რასაც მთელმა მსოფლიომ ერთხმად უთხრა — არა! — განაცხადა დიკ ჩეინიმ და დასძინა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ამ აგრესიის შედეგად დაზარალებულთათვის ჰუმანუტარული დახმარების სახით უკვე 30 მილიონი დოლარი გამოყო.

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, პრეზიდენტმა ბუშმა უკვე გაახმიანა, რომ საქართველოსთვი ეკონომიკური დახმარების აღმოსაჩენად, აშშ დამატებით, კიდევ ერთ მილიარდ დოლარის გამოყოფს.

ამერიკა დაეხმარება საქართველოს ააშენოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ეკონომიკა. საქართველ მთავრობას შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას დაეყრდნოს.

აშს-ს ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთის მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა ეჭვქვეშ დააყენა მისი, როგორც სანდო პარტნიორის იმიჯი არა მხოლოდ საქართველოსთან ურთიერთობაში, არამედ ეჭვქვეშ დადგა რუსეთის, როგორც სანდო საერთაშორისო პარტნიორის იმიჯი და დასძინა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსის წევრი.

ამერიკა მთლიანად ემხრობა საქართველოევროპის გეგმას საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ.

დიკ ჩეინის განცხადებით, თავისუფალ სამყაროში, რომელიც თავისუფლებისთვის, უსაფრთხოებისთვის და მშვიდობისთვის არსებობს, ნატო ერთი-ერთი ყველაზე დიდი ძალაა და დასძინა, მშვიდობის დასაცავად ქართული ჯარები იმყოფებოდნენ ერაყში და ეხმარებოდნენ დაეცვათ ახალგაზრდა დემოკრატია. ჩვენ დავეხმარებით თქვენს ხალხს ამ ჭრილობების მოშუშებაში, ეკონომიკის აღდგენაში, დემოკრატიის განმტკიცებასა და დასავლეთის სტრუქტურებში ინტეგრირებაში.

ⓞ პოზიცია

# სოსო ცისკარიშვილი: „კრემლი საქართველოს კი არა, მთელი პლანეტის ცივილიზაციას ეპაექრება

### საჭიროა იმ ხერხის მოძებნა, რომელიც ღონეს სჯობს

**საქართველოში განვითარებული ბოლო მოვლენების გამო, ევროკავშირის საგანგებო სხდომაზე მიღებული თერთმეტპუნქტიანი დოკუმენტის თაობაზე პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ვესაუბრეთ.**

**— ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, რამდენად ადეკვატურია ევროკავშირის სამიტზე მიღებული დოკუმენტი? ხომ არ იყო ეს ჩვენთვის იმედგაცრუება?**

— რასაკვირველია, საზოგადოებაში იყო გადაჭარბებული მოლოდინი, რაც მნიშვნელოვანწილად, ჩვენი საინფორმაციო ველის „დამსახურებაა“. შესაბამისად ის, რაც მოხდა ბრიუსელში, დასავლეთის არაადეკვატურ ნაბიჯად აღიქმება, თუმცა მიმაჩნია, რომ გულგატეხილობის საბაბი არა გვაქვს.

გასაგებია, რომ მეტი გვსურდა, მაგრამ ევროკავშირის სხდომაზე მიღებულ დოკუმენტში არის ისეთი მკაფიო მესიჯები, რომლებიც გვაძლევენ იმის რეალურ საფუძველს, რომ ევროპული ერთობა საქართველოს ინტერესების დამცველად ვიგულოთ.

ჩვენი საზოგადოებისთვის გამაღიზიანებელია ისიც, რომ დასავლეთის ასეთი აქტიურობის მიუხედავად, რუსეთი მაინც განაგრძობს საქართველოს მიმართ აგრესიულ ქმედებებს... დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში, მოსკოვს მოუწევს თავის საგარეო პოლიტიკურ კურსში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის, რაც დღეს არ მოხდა, ხვალ მოხდება — ანუ დასავლეთი უფრო მკაცრ ზომებს მიიღებს, რაც, პირველ ყოვლისა, რუსულ ეკონომიკაზე აისახება.



**— ევროკავშირის სამიტზე მიღებული დოკუმენტის მეორე პუნქტში აღნიშნულია, რომ დასავლეთი გმობს რუსეთის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები აქვს ევროკავშირს იმისთვის, რომ რუსეთის ქმედებები, ნაწილობრივ მაინც შეაჩეროს?**

— დავიწყოთ იმით, რომ რუსეთი თავის რეალურ მეტოქედ საქართველოს კი არა, დასავლეთს აღიქვამს, კრემლი ეპაექრება მთელი პლანეტის ცივილიზაციას. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამას მოწმობს რუსეთის საპატრიარქოს მიმართვები მთავრობისადმი, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ რუსეთმა უნდა გაზარდოს აგრესია დასავლეთის მიმართ.

ამ ყველაფერს უკვე კარგად აცნობიერებს თავად დასავლეთიც. ევროკავშირის შემდგომი სამიტის ვადად 14 ნოემბერი დაასახელა არა იმიტომ, რომ საკითხი გადადებულიყო და ამით ევროპას გარკვეული ვადით თვალი დაეხუჭა საქართველოს მოვლენებზე, არამედ იმიტომ, რომ 14 ნოემბერს აშშ-ს უკვე ახალი პრეზიდენტი ეყოლება და მასთან მოესწრება კიდეც კონსულტაციები რუსეთთან მიმართებაში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების თაობაზე. ეს ნიშნავს, რომ რუსეთმა 14 ნოემბრამდე უნდა მოაგვაროს ყველა ის პრობლემა, რაც ამ დღეებში მისი არაადეკვატური ქმედებების შედეგად გაჩნდა. თუმცა, ვშიშობ, რუსეთი სულ სხვა მიმართულებით მოქმედებს — მისი ყურადღება გადატანილია იმ სამხედრო წარმატების განვითარებაზე, რომელიც მიღწეულია საქართველოში. „გეოგრაფია“ მისთვის არასაკმარისია იმ ველიკოდერჟავული მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად, რაც ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია საქართველოში. ამიტომ რუსულ პასპორტებს არიგებენ არა მხოლოდ ახალგორში და მის მიმდებარე სოფლებში, არამედ ყირიმში, ჯავახეთში და ჩრდილოეთ აზერბაიჯანშიც.

ვფიქრობ, დროა, ყველა იმ ქვეყანამ, რომელმაც რუსული მზაკვრული პოლიტიკის სისასტიკე გამოსცადა, ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა რუსეთის მოქალაქეთა უფლება-ვალდებულებები საკუთარ ტერიტორიაზე. მხოლოდ ასე თუ დავიზღვევთ თავს კრემლის ამ პრიმიტიული პროვოკაციისაგან.

**— დასავლელი პოლიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. რამდენად რეალურია ეს, ანუ დღევანდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე, ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დავკარგეთ?**

— გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, თუმცა ერთი რამ ცხადია, იმ გზით, რომლითაც ჩვენ ვაპირებდით კონფლიქტების მოგვარებას, სხვა შედეგს ვერც მივიღებდით...

ჩემი აზრით, ახლა უკვე სულ სხვა პოლიტიკურ რეალობაში ვცხოვრობთ, ამდენად საჭიროა ახალი პოლიტიკა, სტრატეგია, ახალი ტაქტიკა — იმ ხერხის მოძებნა, რომელიც სჯობია ღონეს...

**— ევროკავშირის სამიტზე ენერგოწყაროებისა და ენერგომარშრუტების დივერსიფიკაციაზეც იმსჯელეს. როგორ ფიქრობთ, რამდენად დაუშვებს კრემლი იმას, რომ ევროპა, საქართველოს გავლით, ალტერნატიულ ენერგოსივრცეში აღმოჩნდეს?**

— საქმეც ესაა, რუსეთი ვერ ეგუება მონოპოლიის დაკარგვას ენერგეტიკის სფეროში. საქართველო ევროპისთვის სატრანზიტო გზაა, რაც ჩვენი ეკონომიკისთვის სწრაფი აღმშენებლობის გარანტია, მაგრამ საეჭვოა, დაუშვებს თუ არა რუსეთი იმას, რომ დასავლეთის სახით უზარმაზარი საბაზრო სივრცე დაკარგოს... ვფიქრობ, დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს რუსული ენერგომატარებლების „ტყვეობიდან“ თავის დასაღწევად...

**— დღეს ხშირად მსჯელობენ იმაზე, რომ რუსეთი არ „შეჩერდება“ მანამ, სანამ საქართველოს პროდასავლური ხელიუფლება მართავს. რამდენად მოსალოდნელია, კრემლმა პრორუსული მთავრობა „მოგვიყვანოს“?**

— ამის ერთადერთი გზა სახელმწიფო გადატრიალებაა, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალება რომ მოაწყო, მოსახლეობა უნდა გემხრობოდეს.

მოგეხსენებათ, პრორუსული ხელისუფლების მომხრე არც ერთი ქართველი არ არის, მითუმეტეს, ცხინვალის მოვლენების შემდეგ.

ამდენად, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთი საქართველოში ხელისუფლებას ვერ შეცვლის, ეს მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

დოკუმენტი

# ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღო



ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ 35-პუნქტიანი რეზოლუცია მიიღო. რეზოლუციას მხარი დაუჭირა 549 დეპუტატმა 68-ის წინააღმდეგ, თავი შეიკავა 61-მა პარლამენტარმა.

რეზოლუციაში რამდენიმე პარაგრაფი საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას და რუსეთის ბოლოდროინდელ ქმედებებს ეძღვნება.

რეზოლუციაში გამოხატულია საქართველოს მხარდაჭერა ქართულ-სამხრეთ ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით და დაგმობილია რუსეთის მოქმედება.

რეზოლუციის პროექტში ევროპარლამენტი გადაჭრით გმობს ყველას, ვინც ძალასა და ძალადობას მიმართა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ვითარების შეცვლის მიზნით, გამოდის დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების ჩატარების მოწოდებით მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვაში დამნაშავეთა დასადგენად.

ამასთანავე, პროექტის თანახმად, ევროპარლამენტი გმობს „რუსეთის მიუღებელ და დისპროპორციულ სამხედრო აქციას“ საქართველოს ტერიტორიაზე.

დოკუმენტი შეიცავს მოწოდებას რუსეთისადმი, გაიყვანოს ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან და შეამციროს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსი სამხედრო მშვიდობისმყოფელების რაოდენობა.

ევროპარლამენტის რეზოლუციის პროექტში გადაჭრითაა დაგმობილი რუსეთის ცალმხრივი გადაწყვეტილება, რომლითაც ის აღიარებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას, რაც საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება.

რეზოლუციაში ყურადღება საქართველოსთვის დახმარების გაწევაზეა გამახვილებული. ევროპარლამენტი ასევე იზიარებს გუშინწინ ბრიუსელში ევროკავშირის სამიტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

ევროპარლამენტარები ევროპისაგან განცხადებებიდან კონკრეტულ ქმედებებზე გადასვლას მოითხოვენ და რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მკაცრი სანქციების დაწესების მოთხოვნით გამოდიან.

დოკუმენტი მხარდაჭერას უცხადებს ევროკავშირის საგანგებო სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას, შეწყვიტოს მოლაპარაკება რუსეთთან ევროკავშირი-რუსეთის პარტნიორობის შესახებ ახალი საბაზო შეთანხმების თაობაზე.

ევროპარლამენტარების განცხადებით, თუ საქართველოში რუსული ჯარები 5 სექტემბრამდე, ანუ საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მოსკოვში ვიზიტამდე დარჩებიან, ევროკავშირისა და რუსეთის თანამშრომლობაზე საუბარი საერთოდ დასრულდება.

პარლამენტარები მიესალმებიან ევროკავშირის გადაწყვეტილებას, გაგზავნოს საქართველოში ევროკავშირის საკუთარი სადამკვირვებლო მისია და მხარდაჭერას უცხადებენ ეუთოს სადამკვირვებლო მისიას.

გარდა ამისა, ევროპარლამენტი მიესალმება ევროკავშირის საგანგებო სამიტის გადაწყვეტილებას, მოიწვიოს საქართველოს დონორთა საერთაშორისო კონფერენცია. დოკუმენტი შეიცავს მოწოდებას ყველა მხარისადმი, უზრუნველყონ ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებთან თავისუფლად დაკავშირების შესაძლებლობა.

კავკასიაში კონფლიქტების მოგვარების გზების ძიების მიზნით ევროპარლამენტი ევროკავშირს მოუწოდებს, მოიწვიოს „ტრანსკავკასიური კონფერენცია მშვიდობისათვის“, ნათქვამია ასამბლეის რეზოლუციის პროექტში.

მზერა უცხოეთიდან



# პაოლო გუზანტი: რუსეთის აგრესიის შემდეგ საქართველო დიდი ზნეობრივი მაგალითი გახდა...

## ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა იტალიის პარლამენტის წევრს პაოლო გუზანტის

***დასავლეთისა** და რუსეთის დამოკიდებულების აშკარა და დაფარული ნიუანსების ლაბირინთებმა, თხევადი თუ აიროვანი ენერგიის სახელმწიფოთაშორისი მართლწარმოებისა და საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტად გახდომამ, სამწუხაროდ, არც თუ ისე სახეირო რეალობას შეგვაჯახა. ჩიხში მომწყვდეულნი ახლადგამოცხადებული ერთობის დღეს ვმარჩიელობდით, „გაიღებს“ თუ არა ეკონომიკურ სანქციებს აღთქმული დასავლეთი. ევროპამ განაცხადა, რომ მას სურს რუსეთს საქართველოს ეკონომიკური გაძლიერებით „ასწავლოს ჭკუა“. დღეს „ევროპული ხასიათის“, მათ შორის, „ევროპული ეშმაკობის“ გაგებას სევდასიხარულნარევი არგუმენტების კასკადით ვცდილობთ და ზოგჯერ მთლად კარგად არ გამოგვდის. მაგრამ მაინც, იმ და წინა დღეებში მხოლოდ ოპტიმისტები მარჩიელობდნენ. პესიმისტ-რეალისტებს კი გვირილის ყვავილის ფურცლების დაპუტვა არ დაუწყიათ. ისედაც ცხადზე ცხადი იყო, რომ ევროპა რას — რას, მაგრამ ახლა და ამჟამად ეკონომიკურ რისკს არაფრით გასწევს. იმ ქვეყანათა ნუსხაში, რომელთაც, ოფიციალურ დონეზე მაინც, არც საქართველოს დატოვება და არც მისი ტერიტორიების უკან დაბრუნება სურს, თუმცა არც მთლად „ჰამასის“ რიგებში ყოფნა აძლევს ხელს, ფორმალურად არც ტერიტორიის მიტაცებას უჭერს მხარს, მაგრამ ლიბიაში მაინც აბანდებს ფულს, იტალიაა. კითხვაზე მოუტანს თუ არა იტალიას ამგვარ საქმეთა ვითარება მეორე რენესანსს, პასუხის მოსაძიებლად კვლავ ევროპულ ხასიათში წიაღსვლების განხორციელება დაგვჭირდება. საქმე ის არის, რომ იტალიური ნეორეალიზმის ხანა ვიტორიო დე სიკას „ველოსიპედის ქურდებით“ დაიწყო. რით დამთავრდება დღევანდელობის სუპერნეორეალისტური სცენები ოვიდიუსისა და სეროვის „ევროპის მოტაცებიდან“, როცა ზევსი იდენტიფიცირებული არაა, არავინ იცის პესიმისტ-რეალისტების გარდა.*

*სწორედ მაშინ, როცა უღიარებელი რესპუბლიკების აღიარებათა დემარში ზარ-ზეიმით მიაბიჯებდა საქართველოს მიწა-წყალზე, იტალიამ „დრო იხელთა“ და 5 მლნ ევროს ინვესტიცია ლიბიას მიუძღვნა, იმ ქვეყანას, რომელმაც გაეროს სხდომაზე რუსეთის დამპყრობლურ ომს ლამის პირველმა დაუჭირა მხარი. ლირიულ გადახვევას თუ გავაკეთებ, ნახევრადხუმრობით საფეხბურთო ჩემპიონატებზე „ფორცა, ფორცა იტალიას!“ („წინ, წინ იტალია“!) მგონი, სულ ტყუილუბრალოდ ვსკანდირებდი... არადა, იტალია რუსეთს უნისონში იმიტომ კი არ ესუბრება, რომ ანა მანიანის თანამემამულეებს ქართული ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა გაუხარდათ. ტოტო კუტუნიომ დამოუკიდებლობის დღეს ქართულად „სულიკო“ ტყუილად ხომ არ წაიმღერა? უბრალოდ, მარადიული ქალაქის ლიდერ სილვიო ბერლუსკონის დიდი და სარგებლიანი მეგობრობა აკავშირებს ასევე მარადიული კრემლის, ვშიშობ, არანაკლებ მარადიულ პატრონთან ვლადიმირ პუტინთან. პასუხი მარტივი და საბოლოოა. გართულებასა და გასაჩივრებს არ ექვემდებარება.*

*ჟურნალისტი, ყოფილი სენატორი, ყოფილი სოციალისტი, იტალიის პარლამენტის წევრი, პარტიის „ფორცა, იტალიას“ ლიდერი, იტალიაში KGB-ს მოღვაწეობის შემსწავლელი ე.წ. „მიტროხინის კომისიის“ (2002/06წ.) ხელმძღვანელი **პაოლო გუზანტი** ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ქვეყნის პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის რუსეთის აგრესიის დაგმობისკენ ღიად მოუწოდა. გუზანტი კარგად იცნობდა თავისი მიმართვის ადრესატს. მხოლოდ ერთი წელი გავიდა მას მერე, რაც გუზანტი ბერლუსკონის პარტიიდან წამოვიდა. მანამდე კი თანაპარტიელს პუტინისადმი „უანგარო“ სიყვარულს უწუნებდა და აკრიტიკებდა.*

— **ბ-ნო პაოლო**, **როგორია თქვენი და იტალიის პარლამენტის პოზიცია აგვისტოში საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით?** — ვკითხე იტალიელ პარლამენტარს.

— ის, რაც მოხდა, გახლდათ რუსების მიერ წინასწარ გათვლილი და ძალიან კარგად დაგეგმილი ოპერაცია. ესაა ჩემი პოზიცია. რაც შეეხება იტალიის პარლამენტს, ის საფუძვლიანადაა გაყოფილი. იქ პრემიერ-მინისტრ ბერლუსკონისა (პუტინის დიდი მეგობარიძ და იტალიის ყოფილ კომუნისტებს შორის პარადოქსულად საერთო აზრი და შეხედულება გამოიკვეთა. შემიძლია გითხრათ, რომ იტალიის პარლამენტის 15 პროცენტი პროქართულადაა განწყობილი. დანარჩენნი კი იყოფიან პრორუსული ორიენტაციის ღია აგიტატორებად და იმად, ვინც რეალპოლიტიკოსებად ასაღებენ თავს და პრორუსულად არიან განწყობილნი.

— **რბილად რომ ვთქვა, ძალიან გამიკვირდა, როცა იტალიის ტელევიზიამ ქართველები რუსეთის დამპყობლებად გაასაღა...**

— იტლიელები უხერხულში ჩავარდით. იტალიელებმა არ იცოდნენ, რომ ისეთი ცნება, როგორიც ოსეთია, თურმე პლანეტის ნაწილი ყოფილა. ამავე დროს მრავალი მათგანი ფიქრობდა: „თუ ამერიკელებს შეუძლიათ ის, რაც მათ ერაყში განახორციელეს, რატომ არ შეუძლია რუსეთს საქართველოში იგივე მოიმოქმედოს?“ მართალაც, სამწუხაროა ამის გაცხადება.

— **იტალიის პოლიტიკურ წრეებში საქართველოსა და ნატოს ურთიერთობის თაობაზე რა შეხედულებები დომინირებს?**

— მთავრობისა და პარლამენტის მეტმა ნაწილმა შვებით ამოისუნთქა, როცა საქართველო ნატოში დაჩქარებული წესით არ მიიღეს. დღეს ისინი ამბობენ: „ხედავთ? საქართველო ნატოს წევრი რომ ყოფილიყო, ჩვენ დღეს რუსეთის წინააღმდეგ უნდა გვეომაო“. ეს არის უდავო ჭეშმარიტების საწინააღდეგო განცხადება. საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა რომ ყოფილიყო, რუსეთი საქართველოზე იერიშის მიტანას არასოდეს გარისკავდა. სამწუხაროდ, იტალიის პოლიტიკა ის არის, რომ რუსული დათვი „არ შეაწუხოს“.

— **როგორ აფასებთ ბერლუსკონი-პუტინის მეგობრობას და ამ კავშირის შედეგებს? ბერლუსკონი შეეხვეწა პუტინს, თბილისი არ დაბომბოო, სხვა ქალაქების დაბომბვა შესახვეწად არ ღირდა?**

— პირადად მე უაღრესად აღშფოთებული ვარ და უხერხულად ვგრძნობ თავს, როცა პრემიერ-მინისტრ ბერლუსკონის ვუსმენ. იგი ვ. პუტინს მიმართავს და მას „ჩემს ყველზე საუკეთესო მეგობარს“ ანდა „შესანიშნავ ვლადიმირს“ უწოდებს. რეალურადაც და „დე ფაქტოდაც“ იტალია არ მიემხრობა რუსეთისადმი ნებისმიერი სახის სანქციების შემუშავებას და რუსული აგრესიის დაგმობას. იტალია რუსეთს ამის გარანტიას აძლევს. ამგვარ პოზიციაში ერთიანნი არიან პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, რესპუბლიკის პრეზიდენტი და „ჩრდილოვანი საგარეო საქმეთა მინისტრი“ მისტერ ფასინო, რომელიც ძველი კომუნისტური პარტიიდან მოდის. ბერლუსკონი ყველას აჩვენებს, თუ რა კარგი კაცი იყო, როცა არწმუნებდა პუტინს საქართველოსადმი მის საკმარისზე გადაჭარბებულ აგრესიულ დამოკიდებულებაში შესწორება შეეტანა.

— **ვინ ვის იყენებს უფრო მეტად? ბერლუსკონი-პუტინს თუ პუტინი ბერლუსკონის?**

— მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არ არსებობს ბერლუსკონისა და პუტინის ურთიერთობის ნათელი სურათი. ბევრნაირი ინტერესი დაიდო მაგიდაზე. ორივე მხარე ერმანეთისგან სარგებელს ჰპოვებს.

— **როგორი ურთიერთობა აქვს ჯორჯო ნაპოლიტანოს დმიტრი მედვედევთან?**

— ჩემის აზრით, ეს არის ფორმალური და საშუამავლო ურთიერთობა პუტინთან, მაგრამ მე ზუსტ ინფორმაცის არ ვფლობ.

იხ. 4 გვ.

**მზერა უცხოეთიდან**

(მესამე გვერდიდან)

# პაოლო გუზანტი: რუსეთის აგრესიის შემდეგ საქართველო დიდი ზნეობრივი მაგალითი გახდა...

**— რამდენად სასარგებლოა დემოკრატიული ქვეყნისთვის, როცა სახელმწიფოს ხელმძღვანელობს ადამიანი, რომელიც ბიზნესისა და ერთობლივი საწარმოს ფინანსურ ინტერესებს ქვეყნის ინტერესებზე მაღლა აყენებს?**

— არა, ეს არ არის კარგი. მაგრამ ამავე დროს იტალიაში არ არსებობს კანონი, რომელიც ინტერესთა ამგვარ თანხვედრას აკრძალავდა. ასე თუ ისე, 1994 წელს სწორედ ბერლუსკონიმ შეაჩერა ყოფილი კომუნისტური პარტიის გადაულახავი წინსვლა. ბერლუსკონი ძლიერი ანტიკომუნისტია, რომელსაც, უბრალოდ, პუტინი უყვარს. რასაკვირველია, პირადი ბიზნესისა და პოლიტიკური ინტერესების არსებობა ყოველთვის აქტუალური იქნება.

**— ანუ იტალია დიდი რვიანიდან რუსეთის გარიცხვას მხარს არ დაუჭერს...**

— არა, რასაკვირველია. იტალია მკაცრად ახორციელებს ხაზს: იგი შეეცდება შეაჩეროს ან ვეტო დაადოს რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას.

**— რაიმე ერთობლივ ქართულ-იტალიურ ახალ თუ ძველ პროექტს ხომ ვერ გაიხსენებდით?**

— გითხრათ გულახდილად — ვერა. მაგრამ იტალიაში ძალიან აქტიურია პროქართული შეხედულებების მოძრაობა და დღეს მე მისი ნაწილი ვარ. რუსეთის აგრესიის შემდეგ საქართველო დიდი ზნეობრივი მაგალითი გახდა.

**— ლიბია იტალიას რა სარგებელს მოუტანს?**

— წარმოშობის ადგილის მიხედვით სწორედ იტალიას ეკუთვნის საავტორო უფლებები რომაულ მოწოდებაზე „Pecunia non olet," ანუ „ფულს სუნი არ ასდის".

**— როგორ ფიქრობთ, როგორ გადაწყდება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეინტეგრაციის საკითხი?**

— გულახდილად რომ გითხრათ, უახლოეს მომავალში მე ამ საკითხებში რაიმე წარმატების მიღწევისა არ მჯერა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ერთობლივად აშშ და ევროპა რუსეთს თავის ძალას აჩვენებს. მაგრამ რუსეთს ომის წარმოება ძალიან სწადია და იგი, თავისი მილიტარისტული არსიდან გამომდინარე, კონფრონტაციისთვის ყველაფერს გააკეთებს.

**— თუ დასავლეთი რუსეთის სრულ იზოლაციას გადაწყვეტს, მსოფლიო რა სარგებელსა და დანაკარგს მოიმკის?**

— რუსეთი არ ქმნის ტექნოლოგიებს მეცნიერებასა და კულტურაში. მაშინაც კი, როცა მისი სამხედრო ძალა ყველაზე ყოვლისმომცველია. დღესდღეობით მათ მიერ განხორციელებული ოპერაციები აჩვენებს, რომ რუსების სამხედრო უნარ — ჩვევები ძალინ სუსტია. რუსეთს უხეში ძალა და ცუდი ოფიცრები ჰყავს. რუსეთი ვერ შესძლებს იზოლაციაში ყოფნას: მისი ნავთობი და გაზი მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს რაიმე ღირებლებას, თუ იგი ევროპულ მომხმარებელს მიეყიდება. არაა მომხმარებელი, არაა რუსეთიც. ამავე დროს რუსეთი განაგებს კორუფციაში გამოყენებული ფულის უზარმაზარ მოცულობას. რუსეთში მექრთამეობაა, კლავენ ჟურნალისტებს. რუსი ლიდერები ენ-ჯი-ოებში გათვითცნობიერებული არიან და ისინი ევროპელებს ამერიკელებზე უკეთესად იცნობენ. ისინი იგივე ილეთებით საუბრობენ, იმავე ენით ოპერირებენ, რა მუხანათი ენაც ევროპელებსა და, განსაკუთრებით კი, იტალიელებს აქვთ.



**— ხომ არ ფიქრობთ, რომ იმის გამო, რაკიღა დასავლეთი ჩეჩენი ხალხის ტანჯვისადმი ყრუ იყო, სწორედ ამან წაახალისა რუსეთი ლოკალური კონფლიქტების ძალისმიერი ხერხით გადაჭრისაკენ? მეგონა, რომ სწორედ გერმანიამ და იტალიამ ყველაზე უფრო მეტად უნდა იცოდეს მშვიდობისა და სამართლიანობის ფასი, თუ გავიხსენებთ მეორე მსოფლიო ომს.**

— იტალიელები ვერაფერსაც ვერ იხსენებენ. მეხსიერება იტალიაში აკრძალული რამაა. იტალია აბსოლუტურად ყრუ იყო ჩეჩენი ხალხის ტანჯვისადმი. იტალიელები მხოლოდ და მხოლოდ ერაყს უგდებენ ყურს. რუსეთი ძალიან გაიწვრთნა, გაეშმაკდა ჩეჩნეთის წინააღმდეგ წარმოებულ საშინელ, კრიმინალური ჩაგვრაში, რომელიც მსოფლიო „ტერიორთან ბრძოლის" ნაწილი გახდა.

ვთვლი, რომ მხოლოდ შემდგომ თაობას ეცოდინება საბოლოო კონფრონტაციის ხასიათი — დასავლეთ ცივილიზაციასა და ახალ ღერძს (რუსეთი-ირანი-ჩინეთიძ შორის. ჩვენ კი მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ იმედით დაველოდოთ: ვინ გახდება გამარჯვებული.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ" საკ. კორ, აშშ.**
**ნიუ-იორკი–რომი**

**თვალსაზრისი**



# ერეკლე საღლიანი: კოდორის ხეობას ვერც ტონანახევრიანი ბომბებით აიღებდნენ, რომ არა...

## ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არიან პროვოკატორები, რომელთაც პრეზიდენტი შეცდომაში შეჰყავთ

***რუსეთ-საქართველოს ომს მწერალი ერეკლე საღლიანი ერთმნიშვნელოვნად არ აფასებს. მისი აზრით, მედალს ორი მხარე აქვს: პირველი — ჩვენ მსოფლიო გონის გახსნისთვის დიდი მსხვერპლი გავიღეთ, რადგან მსოფლიომ და განსაკუთრებით დიდმა ქვეყნებმა დღემდე ვერ გააცნობიერეს, თუ რა ფენომენია რუსული ველიკოდერჟავიზმი და იმპერიალიზმი. ეს ომი მხოლოდ ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს საწუხარი არ არის, იგი საკაცობრიო სატკივარია. „როგორც თავის დროზე ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრამ გააერთიანა მსოფლიო და საგანგაშო ზარი დაარისხა, იგივე განმეორდა რუსეთის საქართველოში შემოჭრით. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — ვართ კი ის ქვეყანა, რომელსაც შეუძლია ამხელა მისია იტვირთოს საკუთარი ქვეყნის დანგრევისა და მრავალი მსხვერპლის ფასად?" — კითხულობს ერეკლე საღლიანი. მისი თქმით, ამ ომის შემდეგ შიდა ქართლის, ანუ სამაჩაბლოს ქართული სოფლებიდან მთლიანად გამოაძევეს მოსახლეობა და ლიახვის ხეობის ეს პატარა საყრდენიც კი ხელიდან გამოგვეცალა.***

— რაც შეეხება აფხაზეთს და კონკრეტულად, დალის ხეობას, იქ ადგილობრივი მოსახლეობა აფხაზებთან თავად აგვარებდა ურთიერთობას. ბოლოს, სახალხო დიპლომატიითაც კი გადაიდგა ნაბიჯები. მოსახლეობა თავს თავად იცავდა.

როდესაც კოდორის, ანუ დალის ხეობაში კვიციანის ამბების გამო, ჩვენი შეიარაღებული ძალები შევიდნენ, მაშინ ზოგიერთმა, ჩემი გამოსვლების შემდეგ, ისიც კი დამაბრალა, რომ ცალკეულ პიროვნებებს ვიცავდი, მაგრამ ეს მართებული არ იყო. როდესაც დალის ხეობაში ჩვენი შეიარაღებული ძალები შევიდოდნენ, ეს პირდაპირ ხელ-ფეხს გაუხსნიდა რუს იმპერიალისტებს და აფხაზ სეპარატისტებს, — ამის გამო ვწუხდი მაშინ.

სვანეთის გზაზე, ხოკოს გადასასვლელზე არის რუსების პოსტი. რამდენიმე წლის წინათ, კოდორისკენ მიმავალ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ჯერ ეს პოსტი უნდა გაევლოთ. მათ კი მთელი ხოკი ისე გადმოიარეს, რუსებმა წინააღმდეგობა არ გაუწიეს. ვსვამ კითხვას — ამის გამო არ უნდა დავფიქრებულიყავით, რატომ შეუშვა რუსმა საქართველოს შეიარაღებული ძალები უბრძოლველად?

თანაც, მაშინ კიდევ ერთი ცუდი რამ მოხდა, მათ განაიარაღეს ადგილობრივი მოსახლეობა, მრავალი ადამიანი იარაღის ტარებისთვის დააპატიმრეს და ისინი დღემდე სასჯელს იხდიან.

ახლა კი რა მოხდა? როდესაც რუსებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა მეორე ფრონტი გაგვიხსნეს და კოდორის ხეობას შეუტიეს, მოსახლეობას იარაღი აღარ ჰქონდა.

**— ანუ ახლაც იგივეს ფიქრობთ, რომ სჯობდა, ხეობა ისევ ადგილობრივ მოსახლეობას გაეკონტროლებინა?**

— რა თქმა უნდა. მაინც მგონია, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არიან პროვოკატორები, რომელთაც პრეზიდენტი შეცდომაში შეჰყავთ. ეს არის უმწიფარი, ჩამოუყალიბებელი ხელისუფლება და მაშინ ვიღაცამ ეს საკითხი შემოაგდო, რაც გონივრული არ მგონია.

იმის მიუხედავად, რომ ემზარ კვიციანი ჩემი მეზობელია, თუ ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო, შეეცვალათ იგი. როგორ შეიძლებოდა საზოგადოება „მონადირის" მთლიანად გაუქმება? ამ საზოგადოების არსებობა იმის საწინდარი იყო, რომ მოსახლეობას თავად დაეცვა საკუთარი თავი...

**— ამბობენ, რომ რუსეთის საჰაერო თავდასხმების გამო დაიკარგა კოდორი, მათ იქ ტონანახევრიანი ბომბები ჩაყარეს, რასაც ვერც შეიარაღებული ძალები და ვერც ადგილობრივი მოსახლეობა ვერ გაუმკლავდებოდაო...**

— ვინც ასე ფიქრობს, ერთ რამეს ვეტყვი: კოდორის ხეობაში მონადირული გამოცდილება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სამხედრო ნაწილების იქ ყოფნა. დალის ხეობაში, ტყიან ადგილებში არის გამოქვაბულები. თუ იქაურობა ხუთი თითივით არ იცი, ვერ აითვისებ. მეტსაც გეტყვით, აფხაზ სეპარატისტებსა და რუსებს იქ ყოფნა გაუჭირდებათ. ჩვენ რომ რაიმე რეალური ძალა გვყავდეს, მათ დღესაც ხეობის გაკონტროლებისთვის პრობლემები შეექმნებოდათ.

მოსახლეობამ იცოდა ის მიუვალი ადგილები და მჯერა, ტონანახევრიანი ბომბებისგანაც თავს დაიცავდა. იქაურობა ბრძოლის გაგრძელების საშუალებას იძლევა. ახლად შესულ შეიარაღებულ ძალებზე მეტად ადგილობრივი მოსახლეობის გამოცდილების დაძლევა რუსებისა და აფხაზი სეპარატისტებისთვის უფრო ძნელი იყო. უმთავრესი ეს არის.

იხ. 6 გვ.



განცხადება

# რატომ გაყო თავი რუსეთის მიერ დაგებულ ხაფანგში საქართველოს ხელისუფლებამ?

*დღეს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად ანექსირებულია რუსი ოკუპანტების მიერ, რასაც წინ უძღოდა აგრესორის მიერ სუვერენული ქვეყნის ტერიტორიის დაბომბვა, ქართული სამხედრო შენაერთებისა და დაუცველი სამოქალაქო პირების მიმართ განხორციელებული უმძიმესი სამხედრო დანაშაულობები: მკვლელობები, ძარცვა, მაროდიორობა და შეურაცხყოფა. რომ არა საქართველოს მიმართ დასავლეთის ქვეყნების მიერ აღმოჩენილი ძლიერი პოლიტიკური თანადგომა, დღეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი არსებობის საკითხიც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.*

რუსული ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად:

— დაიკარგა კოდორის ხეობა, რომელსაც ბოლო 15 წლის განმავლობაში იქაური მოსახლეობა და ქართველი მებრძოლები საკუთარი სისხლის ფასად ინარჩუნებდნენ, ხოლო შიდა ქართლში — მთელი რიგი სოფლებისა და მ ტერიტორიაზე ქართული სამშვიდობო ძალების ყოფნის შესაძლებლობა, რასაც ბოლო 17 წლის განმავლობაში ასევე საკუთარი სისხლის ფასად ინარჩუნებდნენ იქაური მოსახლეობა და ქართველი მებრძოლები. რუსმა ოკუპანტებმა ოს სეპარატისტებთან ერთად მთლიანად დაიკავეს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ის ნაწილიც, რომელიც მანამდე საქართველოს კონტროლს ექვემდებარებოდა.

— მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა კონფლიქტის ზონის გაფართოებისა და იქ რუსული სამხედრო ძალების თარეშის დაკანონების ხელშეკრულებას, ხოლო სამხედრო აღმშენებლობაზე უკანასკნელ წლებში დახარჯული მილიარდობით დოლარი წყალში გადაყრილი (და მავანთა ჯიბეებში „დალექილიც“!) აღმოჩნდა.

— დაღუპული და დაჭრილი მებრძოლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობამ ათასს გადააჭარბა. დაიწყო რუსი ოკუპანტების შეუზღუდავი თარეში მთელ საქართველოში, მაროდიორობა, ხელისუფლებისაგან სამარცხვინოდ მიტოვებული და დაუცველი მოქალაქეების ხოცვა, დატყვევება, ძარცვა და შეურაცხყოფა, სამხედრო ინფრასტრუქტურის დაბომბვა და განადგურება. ყოველივე ამას ხელისუფლება შორიდან ადევნებდა თვალს, უცხოელ სახელმწიფოთა მხარდაჭერაზე აპელირებდა და „ხალხისა და პარტიის ერთიანობის“ დემონსტრირებისათვის ვითარების სავსებით შეუსაბამო მრავალათასიან თავყრილობებს აწყობდა.

— რუსმა ოკუპანტებმა კონფლიქტის რეგიონებიდან დაშორებულ ადგილებშიც, სამეგრელოში, ზემო იმერეთსა და შიდა ქართლის ქალაქებსა და სოფლებში, მოაწყვეს ბლოკ-პოსტები და იქ თვითონ აკონტროლებენ სიტუაციას. შიდა ქართლის გუბერნატორი ოფიციალურად აცხადებს, რომ მას რუსი სამხედროები არ აძლევენ ამ რეგიონის 31 სოფლის არათუ კონტროლის, არამედ იქ შესვლის საშუალებასაც კი.

— ქართულ ქალაქებსა და სოფლებში დაინგრა და განადგურდა უამრავი საცხოვრებელი სახლი და მატერიალური ქონება. ლტოლვილად იქცა ათი ათასობით ადამიანი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაშია. დაიწყო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის დე იურედ აღიარების პროცესი. რეალურად შეიქმნა საშიშროება, საქართველო იქცეს გლობალური სამხედრო კონფრონტაციის ასპარეზად.

ყოველივე ამის „შემოქმედი“ საქართველოს ხელისუფლებაა, რომელიც წლების განმავლობაში განხორციელებული თავისი არაკომპეტენტური, ანტიდემოკრატიული და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით თანდათან ამზადებდა და აახლოვებდა ასეთ კატასტროფულ ვითარებას, დღეს საკუთარ მოქალაქეებს უმტკიცებს, თითქოს ეს კატასტროფა საქართველოსათვის გარდაუვალი იყო და მისი აცილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ინტენსიურად ხდება იმის პროპაგანდა, რომ ამ კატასტროფაში დამნაშავეა ყველა — აგრესორი რუსეთი, გულგრილი დასავლეთი (რომელმაც თურმე ყურად არ იღო საქართველოს მმართველთა გაფრთხილებები), ქართული ოპოზიცია (რომელმაც თურმე 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო გამოსვლებით ხელი შეუშალა ქართული არმიის მშენებლობას), რუსეთის აგენტები (ე. წ. „მეხუთე კოლონა“) და ა. შ. და ა. შ. ერთი სიტყვით, დამნაშავეა ყველა, გარდა საქართველოს ხელისუფლებისა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ არსებითად სასიცოცხლო და საბედისწერო მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი პრობლემების გარშემო უნდა გაიმართოს ფართო საზოგადოებრივი დისკუსია, რისთვისაც ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად გვესახება ქართული ტელესივრცისა და, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის გათავისუფლება სახელისუფლებო ცენზურისაგან. ამ დისკუსიის პროცესში ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს მრავალ კითხვას, რომელთა შორის უმთავრესად მიგვაჩნია შემდეგი:

— მიუხედავად აშშ ადმინისტრაციის კატეგორიული გაფრთხილებისა, რატომ გაყო თავი რუსეთის მიერ დაგებულ ხაფანგში საქართველოს ხელისუფლებამ. მით უმეტეს, თუ მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ სწორედ რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომი იყო მოსალოდნელი?

— ჰყავდა თუ არა საქართველოს სამხედრო ავიაცია და ჰქონდა თუ არა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა, და თუ არა, მაშინ სად წავიდა ამისათვის გათვალისწინებული მილიარდობით სახსრები?



— რატომ ჩააბარა ხელისუფლებამ აგრესორებს უბრძოლველად კოდორის ხეობა, სამეგრელოს, იმერეთისა და ქართლის რაიონები?

— ჰქონდა თუ არა ხელისუფლებას ომის წარმოებისას გეგმა, რომელშიც საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია?

— რატომ ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობას არა პროფესიონალი სამხედროები, არამედ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი სამოქალაქო პირები?

— რატომ მიატოვა ხელისუფლებამ უპატრონოდ ათასობით გაწვეული რეზერვისტი?

— უკან დახევისას რატომ დაუტოვეს რუს ოკუპანტებს ბაზებში განლაგებული უამრავი სამხედრო ტექნიკა?

ასეთ ვითარებაში, ჩვეულებრივ, დგება უმაღლესი ხელისუფლებისა და, კერძოდ, ქვეყნის პირველი პირის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი. შესაბამისად, საქართველოში შექმნილი ტოტალური კრიზისი უახლოეს მომავალში მოითხოვს ქვეყნის რეალური დემოკრატიზაციის პროცესზე დაფუძნებულ ძირეულ და რადიკალურ პოლიტიკურ ცვლილებებს.

*„ქართული აკადემია“; „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“; „განვითარების და თანამშრომლობის ცენტრი“; „სამართალი და თავისუფლება“; „ადამიანის უფლებათა ცენტრი“; „ჯანმრთელი სამყარო“; ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“; „ეთნიკურ და კონფლიქტურ ურთიერთობათა ცენტრი“; გაზეთი „ჰო და არა“; „სტუდია რეპორტიორი“; „თავისუფალი გაზეთი“; „საქართველო ნატოში“; „პატიმართა საერთაშორისო თანამეგობრობა“; კავშირი „ჩვენი ფეხბურთი“; „საზოგადოების კვლევის ცენტრი“; „თავისუფალი არჩევანი“.*

*ნანა კაკაბაძე (უფლებადამცველი); გელა ნიკოლაიშვილი (უფლებადამცველი); ნინო ციხისთავი (უფლებადამცველი); ლევან გოგიჩაიშვილი (უფლებადამცველი); ილია ჩაჩიბაია (უფლებადამცველი); გოჩა ბაძგარაძე (უფლებადამცველი); ჯაბა ჯიშკარიანი (უფლებადამცველი); ზვიად ბოკუჩავა (უფლებადამცველი); ირაკლი სესიაშვილი (უფლებადამცველი); უჩა ნანუაშვილი (უფლებადამცველი); ირინა ფუტკარაძე (უფლებადამცველი); ბაია ამაშუკელი (ჟურნალისტი); მამუკა გობეჩია (ექსპერტი); გიორგი ზესაშვილი (ექსპერტი); ლელა ჯეჯელავა (უფლებადამცველი); თამაზ იაშვილი (ჟურნალისტი); მანანა ბიწაძე (ჟურნალისტი); ვახტანგ კომახიძე (ჟურნალისტი); თამუნა ლეფსვერიძე (ჟურნალისტი); მაყვალა გონაშვილი (პოეტი); ვაჟა ოთარაშვილი (პოეტი); შალვა ფიჩხაძე ( „საქართველო ნატოში“); ლევან ყიფიანი (კავშირი „ჩვენი ფეხბურთი“); გია ჟორჟოლიანი (პოლიტოლოგი); მარინა მუსხელიშვილი (პოლიტოლოგი); ლალი აფციაური (უფლებადამცველი); ირაკლი ბათიაშვილი (ფილოსოფოსი); ლელა გაფრინდაშვილი (ფილოსოფოსი); ზაზა შათირიშვილი (ფილოსოფოსი — ევროპულ ძიებათა დირექტორი); გიორგი ჟვანია (ბიზნესმენი); შალვა ხაჭაპურიძე (ადვოკატი); მერაბ ტურავა (ადვოკატი); ნონა ფილაური (ადვოკატი); გია ხუხაშვილი (ექსპერტი); მალხაზ ჯანგირაშვილი (ადვოკატი); გიორგი გოგოლაშვილი (პროფესორი); ნინო გვენეტაძე (პროფესორი); ანზორ თოთაძე (პროფესორი); გიგა ლორთქიფანიძე (რეჟისორი); ლილი იოსელიანი (რეჟისორი); ირაკლი ტრიპოლსკი (რეჟისორი); მედეა კუჭუხიძე (რეჟისორი); ლევან ანჯაფარიძე (რეჟისორი); რეზო ესაძე (რეჟისორი); დიმა ჯაიანი (სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი); ნათია ავსაჯანიშვილი (პოეტი); თამარ ცაგარეიშვილი (ჟურნალისტი); თამაზ იაშვილი (ჟურნალისტი); მამუკა ღლონტი (ჟურნალისტი); ალეკო ელისაშვილი (ჟურნალისტი); ლალი მოროშკინა (ჟურნალისტი); ლია მიქაძე (ჟურნალისტი); გოგი ხუციშვილი (კონფლიქტოლოგი); ნონა გაფრინდაშვილი (საერთაშორისო დიდოსტატი — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი); ლევან თედიაშვილი (ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი); გია სანაძე (კალათბურთელი, თბილისის „დინამო“); ზაზა აბაშიძე (ისტორიკოსი); გიორგი ანთელავა (პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე); ავთანდილ არაბული (პროფესორი, ფილოლოგი); გიგა ბათიაშვილი (აკადემიკოსი, არქიტექტორი,); გია ბურჯანაძე (მსახიობი,საქართველოს დამსახურებული არტისტი); ერეკლე გამყრელიძე (აკადემიკოსი, გეოლოგი); თემურ გოცაძე (საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი,); ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი (კომპოზიტორი); აველინა დავითულიანი (დოცენტი, ფიზიკოსი); გელა დოლიძე (ფიზიკოსი); მამუკა დოლიძე (პროფესორი, ფილოსოფოსი); მალხაზ ზაალიშვილი (აკადემიკოსი, ბიოფიზიკოსი); ვანო კიღურაძე (აკადემიკოსი, მათემატიკოსი); თამაზ მარსაგიშვილი (ფიზიკა-მათემატიკის, დოქტორი); ჯემალ მებონია (პროფესორი, ფიზიკოსი); ნოდარ მგალობლიშვილი, (მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი); ოთარ მელქაძე (პროფესორი, იურისტი); ზაზა მრელაშვილი (მწერალი, პუბლიცისტი); შოთა ნადირაშვილი (აკადემიკოსი, ფსიქოლოგი); მაია ნათაძე (პროფესორი, ფილოლოგი); თემურ ნანეიშვილი (პროფესორი, ფიზიოლოგი); თენგიზ სანაძე (აკადემიკოსი, ფიზიკოსი); გოგი ქავთარაძე (რეჟისორი, მსახიობი, პროფესორი); ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია (რეჟისორი, პროფესორი) დავით ქარქაშაძე (დოცენტი, ფიზიკოსი); გიორგი ჩაგელიშვილი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); ნინელი ჭანკვეტაძე (მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი); გია ჭუბაბრია (კინორეჟისორი, პროფესორი); ალექსანდრე ხარაზიშვილი (პროფესორი, მათემატიკოსი); მარინა ჯანაშია (მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი) კოტე ჯანდიერი (მწერალი, დრამატურგი); მერაბ ჯიბლაძე (პროფესორი, ფიზიკოსი); თამაზ ჯოლოგუა (პროფესორი, ფილოლოგი)*

*სულ 105 ხელმოწერა*

ინფორმაცია

## ცოტნე გამსახურდიას დაპატიმრება დასაწყისია იმ რეპრესიებისა, რომელსაც სააკაშვილი აპირებს

**ცოტნე გამსახურდიას** დაკავებასთან დაკავშირებით პარტია „თავისუფლების“ ლიდერმა: კონსტანტინე გამსახურდიამ და სატყეო დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა, ბიძინა გიორგობიანმა განცხადება გაავრცელეს.

* * *

**საქართველოს** ხელისუფლების სადამსჯელო ორგანოებმა ყალბი ბრალდებით დააკავეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი ცოტნე გამსახურდია. აღნიშნული ქმედება ხელისუფლების მხრიდან წარმოადგენს ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრებისა და მის მიმდევართა წინააღმდეგ მიმართულ მორიგ ანგარიშსწორების ფაქტს. ვგმობთ ხელისუფლების ოპონენტთა და არასასურველი პირების დაპატიმრების პრაქტიკას, რომელსაც იყენებს საქართველოს ხელისუფლება დღიდან თავისი არსებობისა. ცოტნე გამსახურდიას დაპატიმრება შეიძლება დასაწყისია იმ დიდი რეპრესიებისა, რომელსაც სააკაშვილი აპირებს საკუთარი დანაშაულის დასაფარად. მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას და ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს რათა მოახდინონ საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედება, ხოლო პირადად სააკაშვილისაგან მოვითხოვთ, ცოტნე გამსახურდიას დაუყოვნებლივ და უპირობო განთავისუფლებას“, — ნათქვამია განცხადებაში.



* * *

**საქართველოს** პირველი პრეზიდენტის ვაჟი, ცოტნე გამსახურდია კონსტიტუციური წყობის ძალადობით შესაცვლელად შეთქმულების ორგანიზების ბრალდებით დააკავეს.

„ინტერფაქსის“ ცნობით, ცოტნე გამსახურდია კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა წუხელ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცოტნე გამსახურდიას დაკავების ფაქტი დაადასტურა და განმარტა, რომ იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით იძებნებოდა.

ცოტნე გამსახურდიას დაკავებასთან დაკავშირებით კონსტანტინე გამსახურდია ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს მიმართავს

ჯი-ეიჩ-ენი

⊙ პოზიცია

**8 აგვისტოდან მეზობელ საქართველოში მიმდინარე პროცესებს და მათ ტრაგიკულ შედეგებს აზერბაიჯანშიც დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს. მიზეზი გასაგებია – საქართველო ჩვენი მეზობელია, ეკონომიკური მოკავშირეა. ეს ქვეყანაც, ჩვენსავით, უკვე რამდენი წელია სეპარატიზმისგან იტანჯება. აქ მსოფლიო ერთიანობის მიერ აღიარებული ტერიტორიული მთლიანობა ირღვევა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ საქართველოში (უძველეს ბორჩალოში) 600 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. ასე რომ, ამ ქვეყნის შიგნით და გარშემო დატრიალებული მოვლენები გულგრილად ვერ დაგვტოვებს. რამდენიმე დღის წინათ საქართველოდან გამოსულმა აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა (წარმოშობით საქართველოდან), (სულ 226 კაცმა) რუსეთის მიერ მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრის და იქ სამხედრო ოპერაციების ჩატარების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მსოფლიო ერთიანობას მიმართვა გაუგზავნა. ამ მიმართვაში ისინი რუსეთის მხრიდან საქართველოზე განხორციელებულ თავდასხმას გმობენ, მეზობელი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერენ და მსოფლიოს ყველა განვითარებულ სახელმწიფოებს მოუწოდებენ, რომ ეს ქვეყანა დაიცვან. მკითხველებს ვთავაზობთ საუბარს ამ მიმართვის ერთ-ერთ ხელმომწერ მეცნიერთან პროფესორ ფარმან ჯეირანლისთან.**

# ფარმან ჯეირანლი: მსოფლიო ხედავს, რომ რუსეთში ნამდვილი ფაშიზმი მძვინვარებს

## როცა სახელმწიფოს მთავარი იდეოლოგი ჟირინოვსკია...

**– კავკასიის მიმართ რუსეთის ასეთ ქცევას როგორ შეაფასებდით?**

– ჩემს დაკვირვებაზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ დღეს რუსეთი თითქოს აგონიის მდგომარეობაშია. ამ სახელმწიფოს მეთაურები – პრეზიდენტი მედვედევი, პრემიერ-მინისტრი პუტინი აცხადებენ, კავკასია ჩვენი იყო, ჩვენი არის და ჩვენი იქნება, რუსების კავკასიაზე ზეგავლენა არ შესუსტდებაო და ა.შ. მაგრამ ამის დაჯერება ძნელია და დამკვირვებლები რუსეთის ამ ოფიციალური პირების განცხადებებს ეჭვქვეშ აყენებენ. მართლა ასე რომ ყოფილიყო, ყოველდღე ასეთი ხაზგასმული განცხადებების გაკეთების საჭიროება არ იქნებოდა. ამ საკითხში რუსეთი იმ ადამიანის როლს თამაშობს, „ხახვი რომ ვითომ არ უჭამია" – თუმცა უჭამია კიდეც და კუჭიც ეწვის! ბოლო პერიოდში მეზობლების მიმართ რუსეთის საქციელი მას ავტორიტეტს აკარგვინებს. ახლა ამ სახელმწიფოს სურს, რომ ლამის ბუნებრივ პროცესებსაც გამოუცხადოს ომი! მაგალითად, ზამთრის, ზაფხულის... მოსვლა რუსეთს აღიზიანებს და მის მეთაურებს ლამის ამ პროცესებისთვისაც უნდათ ომის გამოცხადება. როგორც ჩანს, რუსეთი სიმწრისგან ფართხალებს და ამ ფართხალში ტალახში ჩავარდნილი ადამიანივით უფრო და უფრო ღრმად იძირება. რუსეთი კავკასიიდან მაშინ წავიდა, როცა 9 აპრილს საქართველოში (1989წ, 20 იანვარს ბაქოში (1990წ სისხლისღვრები მოაწყო, აზერბაიჯანში – ყარაბახი, საქართველოში – სამაჩაბლო და აფხაზეთი. მოლდოვაში – დნესტრისპირეთის რეგიონი სეპარატიზმში გახვია, უკვე რამდენი წელია ცდილობს უკრაინას ყირიმი წაართვას, მაგრამ თავის ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიურ წარმონაქმნებზე (თათრეთი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და ასე შემდეგ) საუბრისას დუმს, სხვა შემთხვევაში კი აშკარა გენოციდის ჩატარებასაც არ ერიდება. ამის მაგალითი ჩეჩნეთია. აქედან ჩანს, რომ რუსეთი საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავს, სხვისაში კი ბეწვს ეძებს...

**– ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე რას იტყვით?**

– რუსეთი თავისი მოძალადე ქცევებით ამ რეგიონს ყოველთვის საფრთხეს უქმნიდა. მაგრამ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა გვაჩვენა, რომ რუსეთი უკვე მთელი მსოფლიოსთვის დიდ საფრთხედ იქცა. ის, რომ რუსები დღეს გაიძახიან, „კავკასია ჩვენიაო", ამის ნათელი მაგალითია. მაგრამ კავკასია უკვე დიდი ხანია რუსეთის აღარ არის. აშკარად ჩანს, რომ რუსეთი კავკასიიდან მიდის. მაგრამ ტრადიციული მოძალადეობით საკუთარ თავს მსოფლიოსგან იზოლაციაში აქცევს. ამის შედეგია, რომ უბრალო რუსები სირცხვილისგან კავკასიიდან მიდიან. ბოლო მოვლენებმა აშკარად გვაჩვენა, რომ რუსეთი მსოფლიოში მარტო დარჩა. მაგრამ რუსეთს ამის აღიარება არ უნდა. ამ ქვეყნის მეთაურების ნათქვამიდან გამომდინარე, მთელი მსოფლიო ტყუილს ამბობს, და მხოლოდ რუსები არიან მართლები. მაგალითად, რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრის დროსაც საქართველოს აბრალებს ძალადობას, თითქოს საქართველოს ჯარი იყოს მოსკოვს მიმდგარი...

**– თქვენი აზრით, რატომ ისწრაფვის საქართველო ნატოსკენ, ევროპისკენ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისკენ?**

– ამას მარტო საქართველო კი არა, სხვა დანარჩენი სახელმწიფოებიც ცდილობენ. იმიტომ, რომ იქ განვითარება და უსაფრთხოებაა. ახლა მოდით ნატო, ევროკავშირი დსთ-ს შევადაროთ. რატომ არის, რომ დაარსების დღიდან ამ „კავშირში" არც ერთი სახელმწიფო არ გაწევრდა? იმიტომ რომ, დსთ-ში არ არსებობს არც პროგრესი და არც უსაფრთხოება. მსოფლიო ხომ ხედავს ამას. მაგალითად, დსთ-ს 4 წევრი ქვეყანა ერთმანეთთან კონფლიქტურ მდგომარეობაშია. დსთ-ს ქვეყნებში სამართლებრივი ნიჰილიზმი, კორუფცია და ძარცვა განუკითხავად გრძელდება. ამ კავშირში დემოკრატიის ნატამალიც კი არ არის! ყურადღება მიაქციეთ: შუა აზიის ქვეყნებში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა – თავიდან ბოლომდე კანონდარღვევებით სავსე მასკარადი. მაგრამ რუსეთი ამბობს რომ, არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. საქართველოში კიდევ დემოკრატიული გზით არჩეული სააკაშვილის გადაყენება უნდა. ეს არის რუსეთის პოლიტიკა, მაგრამ ახლა XXI საუკუნეა, ხალხს შეუძლია შავის თეთრისგან განსხვავება. მაგალითად, **მსოფლიო ხედავს, რომ რუსეთის შიგნით ნამდვილი ფაშიზმში მძვინვარებს – სკინხედების მიერ ათობით უცხოელის მკვლელობამ არ შეიძლება მსოფლიო არ აღაშფოთოს! ახლა რუსეთში 1937-60-იანი წლების განწყობა იგრძნობა...**

საქართველოს მოვლენები გვაჩვენებენ, რომ უახლოეს დროში რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიიდანაც წასვლა მოუწევს. მჯერა, რომ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მოსახლეობაც ახლო მომავალში თავის არჩევანს გააკეთებს – რუსეთის ძალადობას, ანტიდემოკრატიულ მართვას, კორუფციას ზურგს შეაქცევს, დემოკრატიულ ევროპაში ინტეგრაციის გზაზე დადგება და ცივილური სახელმწიფოს მოქალაქედ ყოფნას ამჯობინებს. ასეთი სახელმწიფო კი საქართველოა.

მოდით, ვიფიქროთ, რატომ არის რომ, ქვეყნების ხელმძღვანელები ევროსაბჭოში, ევროკავშირში, ნატოში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრებისთვის წლების განმავლობაში რიგში დგანან და ცდილობენ ამ ორგანიზაციების ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილონ? დსთ-ში კიდევ, გაწევრება კი არა, უფრო შესაფერის დროს ეძებენ, რათა თავი დააღწიონ ამ გაერთიანებას. ისტორიული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ რუსეთის გავლენის წრეში მყოფი ყველა ქვეყანა ცუდ დღეში, საფრთხეში და დემოკრატიული ღირებულებებისგან შორს იყო, მათი მოსახლეობის უფლებები ტოტალურად ირღვეოდა, კორუფციაში იხრჩობოდა. ნახეთ, ამ დრომდე რუსეთის „გვერდით" მყოფ ქვეყნების სიაში – ავღანეთი, ერაყი, ბელორუსი, კუბა, ვენესუელა, კონგო, ალჟირი, ჩრდილო კორეა... ახლა კი ამ ქვეყნების ზოგადი განვითარების დონე ევროკავშირის ქვეყნებს და აშშ-ს მოკავშირე სახელმწიფოებს (კუვეიტი, სირია, საუდის არაბეთი, გაერთიანებული ემირატები და ა.შ.) შევადაროთ. განსხვავებას ყველა დაინახავს – ეს უკანასკნელები მაღალი განვითარების ეტაპზე იმყოფებიან, მოსახლეობა სტაბილურობას ინარჩუნებს, ეკონომიკა დინამიურად ვითარდება, მათი საზოგადოებები კანონით იმართებიან. რუსეთს ვინ მართავს? გაიხსენეთ ელცინი, რუსების იდეოლოგი, შტერი ჟირინოვსკი გაიხსენეთ – და ჩვენს დროში რუსეთში ფაშიზმის განვითარების მოწმე გახდებით! სახელმწიფოს მთავარი მოწინავე იდეოლოგი ჟირინოვსკი თუ იქნება, მისგან რას უნდა ელოდო? აი ამ მსჯელობებიდან გამომდინარე, მეზობელი საქართველოც ცდილობს ევროპის ორგანიზაციებს შეუერთდეს, „რუსეთის „სიბნელეს" თავი დააღწიოს მაგრამ რუსეთის იმპერიალიზმი ამის ნებას არ აძლევს! გაითვალისწინეთ, რომ ბოლო მოვლენების გამო საქართველომ, შემდეგ კი უკრაინამ დსთ-დან გასვლა გადაწყვიტეს. ვფიქრობ, რომ ეს პროცესი გაგრძელდება.

იხ. 9 გვ.

⊙ თვალსაზრისი

# ერეკლე საღლიანი: კოდორის ხეობას ვერც ტონანახევრიანი ბომბებით აიღებდნენ, რომ არა...



(მეოთხე გვერდიდან)

**– სამწუხაროდ, აგვისტოს მოვლენებმა კოდორის ხეობის სახით უმთავრესი ფორპოსტი დაგვაკარგვინა. ასეა ხომ?**

– კოდორის ხეობა ჩვენთვის მხოლოდ ფორპოსტი და სტრატეგიული პუნქტი კი არ იყო, ისიც და ლიახვის ხეობის ქართული სოფლებიც კოკოითისა და ბაღაფშის რეჟიმებისთვის ყელში გაჩხერილი ძვალი იყო... სანამ კოდორის ხეობას ჩვენ ვაკონტროლებდით, აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას არავინ აღიარებდა. ახლა კი აფხაზეთისა და კოკოითის სეპარატისტული რეჟიმები, სამწუხაროდ, უფრო ახლოს არის საერთაშორისო აღიარებასთან. ყველაზე მეტად გულს ეს მიკლავს.

**– ევროპამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც ერთმნიშვნელოვნად დაგმეს რუსეთის ქმედება. თუ რუსეთი იზოლაციაში მოექცევა, ვფიქრობ, მოვლენები ჩვენს სასიკეთოდ განვითარდება. თქვენ არ მეთანხმებით?**

– ჯერჯერობით არაფრის იმედი არ მაქვს. პუტინისა და მედვედევის შუბლზე ძარღვგაწყვეტილ ხელისუფლებას უნამუსობით ვერც ერთ დიდი ქვეყნის ძალმომრე ხელისუფლება ვერ შეედრება. პუტინისა და მედვედევის რუსეთისთვის არ არსებობს არც სიტყვა, არც სინდისი და არც ნამუსი. თუ რუსეთი ცივილიზებულმა მსოფლიომ უკიდურესობის წინაშე არ დააყენა, ის არამცთუ სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან, არამედ ფოთიდანაც კი არ გაიყვანს ჯარს.

ფოთის პორტში მათი ყოფნა ფაქტობრივად დაპყრობის მცოცავი მექანიზმით აიხსნება. ხვალ შეიძლება ფოთს ბათუმიც მიჰყვეს, რის გამოც ვერც ამერიკის შეერთებული შტატების გემები შემოვლენ და ვერც ვერანაირ დახმარებას მივიღებთ. ამაზე სამწუხაროდ, ხმას არავინ იღებს. ამ დღეებში ტელევიზიით ჩემთვის უცნობმა ახალგაზრდამ გაახმიანა ასეთი რამ – არ შეიძლება რუსეთთან ენის მოჩლექით საუბარიო. აბსოლუტურად მართალია. ევროკავშირის სამიტის შემდეგ დავრწმუნდი, რომ რუსეთს ჯერ კიდევ სწორედ ენის მოჩლექვით ესაუბრებიან. ამის გამო კი იგი ჯარს არ გაიყვანს.

ამჯერად მხოლოდ ერთადერთი იმედი მაქვს – რომ მსოფლიოს გონი გაეხსნას და მწყალობელი თვალი მიაპყროს საქართველოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ჩვენი დიდი რეჟისორის ოთარ იოსელიანის სიტყვებს ვეთანხმები, ნურც სარკოზი და ნურც ევროპის სხვა ლიდერები ანგელოზები ნუ გგონიათო.

ერეკლე საღლიანი ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ წლების განმავლობაში, კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით, შეცდომები დაუშვა, მშვიდობიანი გზით ვერ მოახერხა პრობლემების გადაწყვეტა, მაგრამ ამა თუ იმ სამშვიდობო გეგმაზე მეტად აუცილებელი იყო ურთიერთობების დათბობა, რაც დაიწყო კიდეც, მაგრამ ახლა ყველაფერი წყალში ჩაიყარა. „გეგმის შეთავაზება კი არ არის არსებითი, ხელისუფლებამ მუშაობის სტილი უნდა შეცვალოს, რასაც მეორედ დაბადება ჰქვია. როდესაც ბრძოლა მიდის მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის, ამას ყოველთვის უარესი შედეგი მოსდევს. ვფიქრობ, მეორედ უნდა იშვას ეს ხელისუფლება".

**– რას იტყოდით უფრო რადიკალურ მოთხოვნებზე, ამ ხელისუფლების გადადგომის შესახებ?**

– ამას მაღალი ზნეობა სჭირდება. ხელისუფალს მაღალი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს, რომ ეს შეძლოს.

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი**

# აფხაზეთი მაფიის ხელში

## გამოუცხადებელი ომის ექო



***სამყაროსი** რა მოგახსენოთ, მაგრამ რაც შეეხება პოსტსაბჭოურ სივრცეს, იგი ნამდვილად აღარ იქნება ისეთი, როგორიც 2008 წლის 8 აგვისტომდე იყო და, ჩემი ღრმა რწმენით, აღარც არასოდეს გახდება ისეთი, როგორიც 2008 წლის 1 სექტემბრამდე იყო. თუ რასთან, რა მოვლენებთანაა დაკავშირებული ეს ორი თარიღი, ქართველ მკითხველს ამის განმარტება ნამდვილად არ სჭირდება, საქმე სხვა რამ გახლავთ. აგერ უკვე თითქმის ორი ათეული წელია ასიათასობით საქართველოს მკვიდრი მშობლიურ მიწას მოწყვიტეს, სახლ-კარი დაუწვეს, ახლობლები და ნათესავები დაუხოცეს და ქვეყნის შიგნით, დედაქალაქისა და სხვა რეგიონებისკენ გამორეკეს. დიდი დრო გავიდა, ის თაობაც კი წამოიზარდა, ვისაც სიტყვები „აფხაზეთი“ და „სამაჩაბლო“ მხოლოდ გაგონილი თუ აქვს, თორემ მათ მიღმა რაღაც კონკრეტული შინაარსი არ დგას. თუმცა კაცი მაინც იმედით არის და მშობლიურ მხარეში დაბრუნების იმედს არავინ კარგავს. იმედი იმედად, მაგრამ უკან დაბრუნებას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ჰოდა, ცდილობს ხალხი, რედაქციაშიც ხშირად გვაკითხავენ, დახმარებას გვთხოვენ.*

*ერთი ასეთი კაცი ცოტა ხნის წინათ გვესტუმრა. არასამთავრობო ორგანიზაციის „ფენიქს-სოხუმის“ თავკაცი **იური თურქია** ემოციებით მეტად დატვირთული იყო.*

# მთავრობა - ვაჰაბიტური, დაქირავებული ჯარი - ბანდიტური, მოსახლეობასთან ურთიერთობის მეთოდი - ყაჩაღური

— ძირძველი სოხუმელი ვარ, მამა ქართველი მყავს, დედა კაზაკის ქალი. ჯარი რომ მოვიარე, სწავლას მივყევი, დავამთავრე ფარმაცევტული ფაკულტეტი, მყავს სამი შვილი, ისინიც სოხუმელები არიან, — მითხრა ბატონმა იური თურქიამ. — 1987 წელს მამა გარდამეცვალა, მისეულ სახლში ჩემი და დარჩა. აფხაზეთში კონფლიქტი რომ დაიწყო, პირველსავე დღეს ჩვენი „მოძმე“ ვაჰაბიტები მოვიდნენ და იგი დახვრიტეს, სახლის ეზოში კი რუსი ჯარისკაცები იდგნენ. ჩემი და, როგორც ვიცი, ფულის გულისთვის მოკლეს, იგი აფთიაქის გამგე იყო და ადგილობრივი ნაძირლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დიდი ფული ჰქონდა საზრალოს.

ასე რომ, მეც მომიხდა გულრიფშში სახლის მიტოვება და შვილებთან ერთად თბილისში გადმოსვლა. იმის გამო, რომ თავის დროზე კერძო საკუთრების საკითხებით ვიყავი დაინტერესებული, უკვე თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ჩამოვაყალიბე „ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა პოსტსაბჭოურ სივრცეში სამართალქომაგი ორგანიზაცია „ფენიქს-სოხუმი“, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის ქონებრივ უფლებათა დაცვას ცდილობს.

საქმე ის არის, რომ აფხაზეთში, ფაქტობრივად, ძალიან ცოტა ოჯახია, რომელიც ეთნიკურად წმინდად აფხაზური, ან ქართული, ან სხვა რომელიმე ერის შვილებისგან შედგებოდეს. **ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა შერეულია და, ამდენად, მერწმუნეთ, რომ აფხაზეთში რაიმე ეთნოკონფლიქტზე ლაპარაკი სრული უაზრობაა.** პრობლემის არსი აფხაზეთში მცხოვრებთა ქონების უკანონოთ მითვისება-მიტაცებაა. ახლა კი, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის შემდეგ, ამ ქონებისა და მიწის რეიდერული მიტაცების დაკანონების მცდელობასთან გვაქვს საქმე.

იური თურქია სვამს ერთ საკვანძო, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან კითხვას: **„რატომ არ შემიძლია მე ვიცხოვრო ჩემს კუთვნილ სახლში და რატომ უნდა დავდიოდე კარდაკარ კუთხის ძებნაში, სადაც უკვე მოზრდილ შვილებთან და შვილიშვილებთან ბალიშზე თავის მიდებას შევძლებდი? ანდა ჩემი მანქანით ვიღაც გადამთიელი რატომ უნდა დადიოდეს და ჩემი გაშენებული ბაღის ხილით რატომ უნდა ისველებდეს პირს?“**

თავად სამართალქომაგი ორგანიზაციის სახელწოდება „ფენიქს-სოხუმი“, იური თურქიას თქმით, იმას გულისხმობს, რომ ფენიქსი ფერფლიდან აღორძინების მარადიული სიმბოლოა და ამით აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალ ხალხს ფერფლიდან ძველი ცხოვრებისა და კეთილმეზობლობის სითბოს აღდგენის იმედი აქვს.

„ფენიქს-სოხუმმა“, რომელიც 2005 წლიდან მოქმედებს, პრობლემის გადაჭრის სამართლებრივეთიკური გზა აირჩია. **საკუთრებას, როგორც ბატონი თურქია აცხადებს, არც პოლიტიკური, არც ეთნიკური შეფერილობა არ გააჩნია.** საკუთრების მეპატრონე, ცხადია, მის მოვლა-პატრონობას ცდილობს, ახლა კი აფხაზეთში მიმდინარეობს იქაური ხალხის საკუთრების რუსეთის მოქალაქეებისთვის ადრე ყალბი დოკუმენტებით მიტაცებული ქონების ლეგალიზება, რაც გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ადამიანის უფლებათა წახალისებისა და დაცვის ქვეკომისიის „საცხოვრისისა და ქონების რესტიტუციის, ლტოლვილთა და შიგნით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების პრინციპებს“ ეწინააღმდეგება.

ამრიგად, ამჟამად **საქართველოს მოქალაქეთა ქონება ეროვნული ნიშნით და ფაშისტურ საფუძველზე გადაფორმება მიმდინარეობს რუსეთის მოქალაქეებზე და კრიმინალურ რეიდერულ ბაზარზე იყიდება.**

— აქვე მინდა ერთ რამეს გავუსვა ხაზი, — ამბობს იგი. — ჯერ ერთი, რომ **რუსეთში, რატომღაც, მრავალს დღესაც მიაჩნია, რომ ქართველები მუსულმანები არიან, მეორეც, ცნობილია, რომ სოჭში, ადლერის რაიონში, ახლადაგებული მრავალი სახლი აფხაზეთის ტერიტორიიდან გატანილი სახლების მასალით — ცემენტის ბლოკებით, სინკარებით, აგურით, თუნუქით, ხის მასალით და ა.შ. არის აგებული. სოჭის ოლიმპიური ობიექტები კი სულაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ასევე უკანონოდ მოპოვებული ინერტული მასალებით შენდება.**

იური თურქია ყურადღებას კიდევ რამდენიმე გარემოებას აქცევს. პირველი ის არის, რომ, მართალია, ევროპას არ სურს იაფი ენერგომშემცველების მქონე ისეთ მიმწოლდებელ ქვეყანასთან, როგორიც რუსეთია, ურთიერთობების დაძაბვა, მაგრამ — და ეს ბოლო დღეებმაც თვალნათელი გახადა — მას საკუთარი უსაფრთხოება და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიები გაცილებით მეტად უღირს და ყველა ღონეს იხმარს, ამ უფლებების დასაცავად.

მეორე და მეტად მნიშვნელოვანი მომენტი კი, მისი აზრით, ის არის, რომ თუ არა საქართველოს პარლამენტის გაუგებრად რბილი პოციზია, რომელიც ბოლო თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე რეგულარულად უგრძელდება რუსეთის ეგრეთ წოდებულ „მშვიდობისმყოფელ ძალებს“ საქართველოში დარჩენის მანდატს, პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი 26 აგვისტოს არ მოაწერდა ხელს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღიარების განკარგულებას.

ერთიც. იქნებ ვინმემ არც იცოდეს, რომ **შამილ ბასაევი, რომელიც თავის დროზე აფხაზეთში ქართველთა სისხლით გაიპოხა, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი, კაპიტანი იყო. პრეზიდენტ მედვედევის 26 აგვისტოს განკარგულებას ერთადერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ — „ჰამასმა“ დაუჭირა მხარი, ხოლო აფხაზეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა მსოფლმხედველობით ვაჰაბიტურია.**

ამიტომაც არის, რომ დასავლეთის ქვეყნები აუცილებლად წამოსწევენ აფხაზეთში საქართველოს მოქალაქეთა ქონების კრიმინალურ-რეიდერული მეთოდებით მიტაცების სამართლებრივ საკითხს, **დასვამენ კრიმინალური ქმედებების „ფარების“ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს და ეს იმიტომაც მოხდება, რომ ამით ისინი საკუთარ კერძო საკუთრებასა და შთამომავლობის უზრუნველყოფილ ცხოვრებას დაიცავენ.**

იური თურქია ყურადღებას აქცევს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: თავისი 26 აგვისტოს განკარგულებით **პრეზიდენტმა მედვედევმა დარტყმის ქვეშ დააყენა და დაპატიმრების საფრთხე შეუქმნა რუსეთის ფედერაციის სტაბილიზაციის ფონდს, რომლის ავუარები უმეტესად დასავლეთის ქვეყნების ბანკებშია აკუმულირებული — ფულმა, მოგეხსენებათ, უნდა „იმუშაოს“. ასევე შეიძლება დააყადაღონ რუსეთის კერძო კაპიტალის მთელი სახსრები დასავლეთის ბანკებში ლტოლვილთათვის ზარალის ასანაზღაურებლად.**

და კიდევ ერთი: **რუსეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე არც არასოდეს ყოფილან მშვიდობისმყოფელთა მანდატით. მშვიდობისმყოფელთა მანდატი დსთ-ს ქვეყნების ლიდერებმა დაუშვეს თანმეგობრობის ქვეყნების მშვიდობისმყოფელ ძალებს, რომელთა შორის ერთადერთი რუსი გენერალი უნდა ყოფილიყო, რომელიც შენაერთებს უმეთაურებდა, დანარჩენები კი — ჯარისკაცები, სერჟანტები, ოფიცრები — დსთ-ს ქვეყნების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა ეს ასე არასდროს ყოფილა და მთელი ჯარი რუსის ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული. ამრიგად, რუსეთის საოკუპაციო ჯარი არც არასოდეს გასულა საქართველოს ტერიტორიიდან და უკანონოდ ატარებდა მშვიდობისმყოფლის ცისფერ ჩაფხუტს.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალქომაგი ორგანიზაციის „ფენიქს-სოხუმის“ წევრებმა შემდეგი განცხადებით მიმართეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

**„პატივცემული ხალხის მიერ არჩეული ბატონო პრეზიდენტო!**

**„ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა სამართალქომაგი ორგანიზაცია პოსტსაბჭოურ სივრცეში „ფენიქს-სოხუმი“ მოგმართავთ თხოვნით შეაჩეროთ, შემდგომ კი გააუქმოთ თქვენი 2008 წლის 26 აგვისტოს განკარგულება დე-იურედ თვითგამოცხადებული რესპუბლიკების აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის შესახებ. აღნიშნული განკარგულება, ფაქტობრივად, რუსეთის რეიდერული მაფიის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მოპარული სახელმწიფო და კერძო საკუთრების პოლიტიკური ლეგალიზების მცდელობაა.**

**კორუმპირებულმა ჩინოსნებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, რომლებიც უშუალოდ გარეულნი არიან ფალსიფიცირებული დოკუმენტებით საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრების კრიმინალურ-ტერორისტულ მიტაცებაში, მისაკუთრებასა და გადაფორმებაში თქვენი დეზინფორმირება შეძლეს.**

**საკუთრების მიტაცება საქართველოში (მიწის, საცხოვრისისა და ქონების) ხორციელდებოდა ძალადობით, ხშირად რუსეთის მოქალაქეების მიერ მესაკუთრის მკვლელობის შემდეგ. მოპარული საკუთრების უკანონო დაუფლება უშუალოდ ხორციელდებოდა რუსეთის რეგულარული ჯარის ხელშეწყობით, რომელიც მშვიდობისმყოფელთა უკანონო მანდატს იყო ამოფარებული. ეს ის ჯარია, რომელიც იმის მაგივრად, რომ ლტოლვილებისთვის საკუთარ კერაზე დაბრუნებისთვის ხელი შეეწყო, ორი ათეული წლის მანძილზე სახლებში კი არა, მშობლიურ კუთხეში დაბრუნების უფლებასაც არ აძლევდა.**

**მოპარული (ნადავლი) საკუთრება (უძრავი ქონება) იყიდებოდა რუსეთის კრიმინალურ-რეიდერულ ბაზარზე, რასაც სისხლის სამართლის დანაშაული — რეიდერობა — ეწოდება. ესაა მოპარული ქონების კრიმინალური გზით ხელში ჩაგდება, მისი შემდგომი დაპატრონება, გაყალბებული ფასიანი ქაღალდებით მისი დაკანონება და შემდგომ ამ ფასიანი ქაღალდების ლეგალიზება. იმის გამო, რომ საერთაშორისო სარბიელზე ამის სამართლებრივი გზით გაკეთება შეუძლებელია, ყოველივე ეს ხორციელდებოდა კრიმინალური სტრუქტურების პოლიტიკური ლეგალიზების გზით, რაც გაკეთდა კიდეც ე.წ. 26 აგვისტოს თქვენი განკარგულებით“...**

**განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ მსოფლიო თანამეგობრობამ შეიმუშავა რეიდერულ მაფიასთან ბრძოლის მეთოდები, რომლებიც გაეროს 2005 წლის 28 ივნისს გამართულ 57-ე სესიაზე დაფიქსირდა და იმედს გამოთქვამენ, რომ პრეზიდენტი მედვედევი კიდევ ერთხელ გულდასმით განიხილავს აღნიშნულ საკითხს და შეაჩერებს 2008 წლის 26 აგვისტოს არასამართლებრივ განკარგულებას.**

ოთარ ტურაბელიძე

## „მშვიდობისმყოფელობა“ რუსულად



### რუსების ქმედება ეუთოს წარმომადგენელმა ტერორიზმად შეაფასა

**ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელი გორან ლენმარკერი კარალეთთან დისლოცირებულმა რუსმა ოკუპანტებმა სოფელში არ შეუშვეს. ამის შესახებ შიდა ქართლის ადმინისტრაციის პრესსამსახურში განაცხადეს.**

**ეუთოს სპეციალური დელეგაცია რუსმა ოკუპანტებმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გამოაბრუნეს უკან.**

**ეუთოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი გორან ლენმარკერი დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ქალაქ გორში და მის სოფლებში რუსული ოკუპაციის შედეგად დაზარებული მოსახლეობისა და დაზიანებული საცხოვრებლების დასათვალიერებლად იყო ჩასული.**

**გორან ლენმარკერმა რუსი ოკუპანტების ქმედება ტერორისტულ ფაქტად შეაფასა და განაცხადა, რომ საქართველში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლა, რათა ყოველგვარი უკანონობა თავიდან იქნეს აცილებული.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ ჩვენზე

# მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობა



**რუსეთ-საქართველოს კრიზისისადმი მიძღვნილი ანალიტიკური სტატიებისა და კომენტარების უმეტესობა დუმილით უვლის გვერდს მათ მიერვე ზედაპირზე ამოტანილ კომუნისტურ მემკვიდრეობას.** სსრ კავშირის დაშლის მომენტიდან გავიდა ორ ათეულზე ოდნავ ნაკლები დრო, მაგრამ ჩვენ, როგორც ჩანს, ყველაფერი დავივიწყეთ. მაგრამ, ამ მემკვიდრეობის მხედველობაში მიუღებლად, ძნელია გაიგო, რა ხდება კავკასიაში.

ბევრი კომენტატორი ამართლებს რუსეთის დღევანდელ პოლიტიკას, ისინი მიუთითებენ მემკვიდრეობითობას საბჭოთა კავშირთან, ამ დროს სრულიად რჩებათ მხედველობიდან ქვეყნის კომუნისტური განზომილებანი. ჩვენ გვარწმუნებენ, როგორც თავისთავად ცხადს, რომ მოსკოვს, უბრალოდ, უნდა აღადგინოს სსრ კავშირის საზღვრები, თითქოს ეს საზღვრები მას ეკუთვნის კანონით. ისტორიის უცნაური გაგებაა!

სსრ კავშირი იქმნებოდა ცეცხლითა და მახვილით, კავკასიისა და სხვა ხალხების განადგურებით – დასავლეთისკენაც და ჩრდილოეთისკენაც. იგი იკვებებოდა ხალხების ექსპლოატაციით, რომლებიც ამ რეგიონებში ცხოვრობდნენ და, რომლებსაც თავს ახვევდნენ კომუნისტურ სისტემას. ასობით ათასი მამაკაცი, ქალი და ბავშვი დახოცეს ან მოახდინეს მათი დეპორტაცია იმპერიალიზმის საკეთილდღეოდ. სსრ კავშირის საზღვრებზე მითითებით ისინი ამართლებენ რუსეთის დღევანდელ პოლიტიკას, მაშასადამე, ვარდებიან ერთგვარ ნიჰილიზმში, ივიწყებენ ამ ისტორიის ტრაგიკულობას.

რატომ უნდა გავჩუმდეთ ამ წარსულზე, თუკი რუსეთის ლიდერები გაჟღენთილნი არიან ამით? ეს საბჭოთა პრეცედენტით ხელმძღვანელობენ ისინი, როდესაც კვლავ აცხადებენ თავიანთი იმპერიული უფლებების შესახებ. ვლადიმერ პუტინი – არავის ეჭვიც არ ეპარება, რომ სწორედ იგი მართავს მოსკოვში, – განიცდის ნოსტალგიას სსრ კავშირის მიმართ. განა არ განაცხადა მან, როდესაც 1990-იანი წლების ბოლოს თანამდებობას იკავებდა, რომ საბჭოთა სისტემის დაცემა იყო რუსეთის ყველაზე საშინელი კატასტროფა? პუტინი არა ბრეჟნევის ეპოქის უძრაობაზე ნაღვლობს, არამედ სტალინის ეპოქის გამარჯვებულ და დანაშაულებრივ სახელმწიფოზე.

რუსეთის ისტორიკოსები, კრემლის ბრძანებით, მოწოდებული არიან მოახდინონ დიქტატორის რეაბილიტაცია, გადააქციონ მისი სახელი ეროვნულ გმირად. დავუმატებთ, რომ არცერთი ლიდერი ჯერჯერობით არ გამოხატავს თუნდაც მცირე მონანიებას ამ წარსულის გამო, პირიქით, პუტინი და მისი გარემოცვის სამხრეებიანი ხალხი სიამაყით აკუთვნებენ თავიანთ თავს ჩეკისტურ ტრადიციებს, რომელსაც სხვადასხვა აბრევიატურები ამშვენებდა (გეპეუ, ენკავედე, კაგებე...ძ – იგი იყო კომუნისტური პარტიის საბრძოლო ფრთა, აღასრულებდა მის ბნელ საქმეებს.

გავბედავთ თავხედურ, მაგრამ შესაფერის შედარებას. დავუშვათ, 1960-იანი წლების შუა პერიოდში, ესე იგი, დაახლოებით ორი ათწლეულის შემდეგ ნაციზმის დამარცხებიდან, გერმანიის სათავეში მოსულიყვნენ ჰიტლერის თაყვანისმცემლები ან – კიდევ უფრო უარესი – ესესელთა და გესტაპოელთა სულიერი მემკვიდრეები. წარმოვიდგინოთ, რომ ამ გერმანიამ გადაწყვიტა, მაგალითად, დაიბრუნოს სუდეტები. მაშინ ვილაპარაკებდით ჩვენ ასევე ძალადაუტანებლად „ბუნებრივ საზღვრებზე"?

სწორედ იმიტომ, რომ ქართველებმა არ დაივიწყეს საბჭოთა ოკუპაცია, მათ არ სურთ უკან დაბრუნება. როგორც მოლდოვას, ყირიმს და უკრაინას, რომ აღარაფერი ვთქვათ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთზე, ჩვენს ევროპელ თანამემულეებზე. ყველა ამ ხალხს აშინებს მოსკოვის იმპერიული პოლიტიკა.

შეიძლება, რასაკვირველია, ვილაპარაკოთ სლავურ ფესვებზე, რომლებიც არის ზოგიერთ ამ ქვეყანაში, რათა გავამართლოთ კრემლის პოლიტიკა, მაგრამ რატომ არ უნდა მივცეთ ამ ხალხს უფლება თავად გადაწყვიტონ, უნდათ თუ არა მოსკოვის გარემოცვაში ყოფნა? პუტინის რეჟიმი, რომელსაც ეზიზღება დემოკრატია, ასეთ ლოგიკას არ აღიარებს. კრემლში მოქმედი სამხედროების ხელისუფლება მსოფლიოს აღიქვამს ძალთა თანაფარდობის ტერმინებში. ამ ჩეკისტებმა, სტალინის გერებმა არ იციან სხვა პოლიტიკური კულტურა.

დემოკრატიული რუსეთი არ ჩაებმებოდა ამ სამხედრო ავანტიურაში. ზიანის მომცველი დიპლომატია, რასაც ახორციელებს პუტინი საერთაშორისო არენაზე უკანასკნელი წლების განმავლობაში, სავსებით სამართლიანად იწვევს დასავლეთის უნდობლობას. ასეთი დიპლომატია კარგად ეხამება კრემლის საშინაო პოლიტიკის ლოგიკას. რეჟიმი, რომელიც თრგუნავს თავის ხალხს, ყოველთვის წარმოადგენდა საშიშროებას მეზობლებისათვის. რუსეთელების მოთოკვით პუტინის „მილიტაროკრატია" გადადის შეტევაზე საგარეო ფრონტზე. როგორც ყოველ ძლიერ რეჟიმს, პუტინის რეჟიმს შეუძლია გაითამაშოს ნაციონალიზმის რუკა, რათა გაამართლოს საკუთარი ლეგიტიმურობა (პეკინში ოლიმპიური თამაშები გახდა ამგვარი მიდგომის მაგალითიძ.

გეოპოლიტიკური ფატალიზმის სახით კრემლის მიერ გამოყენებული ძალების გამართლება (ეგრეთ წოდებული, მოსკოვის „გავლენის ზონები"ძ – ყველაზე უარესი სამსახურია მათგან, რაც ჩვენ შეიძლება გავუწიოთ რუს ხალხს, თავად რუსეთს და მის მეზობლებს. თუ პუტინს მივცემთ საშუალებას, მოეპყრას საქართველოს ისე, როგორც ეს მას სურს, იგი ამას აღიქვამს, როგორც წახალისებას საკუთარი ხალხის შემდგომი დათრგუნვისათვის და ხელყოფისათვის სხვა მეზობლებზე. ძველ საბჭოთა ანეკდოტში ნათქვამი იყო, რომ სსრ კავშირი ესაზღვრება მათ, ვისთანაც სურს. ეს (ჯერჯერობითძ არ შეეხება დღევანდელ რუსეთს, მაგრამ კრემლის ლიდერი, ეჭვგარეშეა, ამაზე ოცნებობს.

დღევანდელი კრიზისის ანალიზის დროს არ შეიძლება შეცდომების დაშვება. კავკასიის საკითხი მოწმობს არა რუსეთის სახელმწიფოს დაბრუნებას საერთაშორისო არენაზე, არამედ განსაკუთრებულ სიძნელეებზე, რასაც ეს ქვეყანა განიცდის. კომუნისტური წარსულიდან დღემდე მან ვერ შეძლო ან არ მოისურვა სახეში შეეხედა თავისი საშინელი წარსულისათვის. გარდა სახელმწიფო ინტერესებისა, ამ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზნეობრივ განზომილებას, რამაც უნდა დაარწმუნოს ჩვენი დემოკრატიული ქვეყნები თავიანთ სიმართლეში მოწინააღმდეგესთან დაკავშირებით, რომელთაც სურვილი ექნებოდათ თავისი წესრიგი დაუკავშირონ ევროპას, გააკეთონ ეს თავის სახლში, და ამ დროს შთაგონების წყაროდ იქნებოდა ისტორია და ჯანსაღი აზრი.

**ტიერი ვოლტონი**

Le Monde.fr

# რუსეთთან კონფრონტაციის ახალი ეპოქა

**კავკასიის კრიზისი – ეს მხოლოდ პრელუდიაა: მშვიდობა დასავლეთსა და რუსეთს შორის მყიფეა, ცივი ომის გამოცდილება, როგორც ჩანს, ორივე მხარემ დაივიწყა. მაგრამ მაინც რუსეთის სწრაფვა ხელისუფლებისკენ, შეიძლება საშიში გახდეს – გარდა ნავთობის ფასის ზრდისა, ხომ არსებობს ბირთვული ანარქიის საფრთხეც?!**

ომს დღის სინათლეზე გამოაქვს ნივთები, რომლებიც ჩვეულებრივად ჩრდილში იმყოფებიან. პატარა ომი კავკასიის მთებში ამ სახისაა, მხოლოდ პრელუდიაა და გაგრძელება იქნება. სამშვიდობო წესრიგი – ეს მხოლოდ სიტყვაა. ისტორიის რეპერტუარში კვლავ დრამა და ტრაგედიაა.

ცივი ომის შემდგომი ეპოქა – რუსეთი სუსტია, დასავლეთი კი ზეიმობს – მთავრდება. იწყება კონფრონტაციის, ძალთა კონკურენციისა და სისტემათა დაპირისპირების პერიოდი. ფსონი დიდია. საქმე შეეხება არა პატარა სასაზღვრო რაიონებს, როგორც ეს იყო 1914 წელს, როდესაც საკითხი ეხებოდა ბოსნიას. ეს საბაბია. მიზეზები ძალთა ტექტონიკურ გადაადგილებაშია. იმპერიული პროექტები ერთმანეთს უპირისპირდება. ნატოს გაფართოება სანქტ-პეტერბურგის კარამდე, შეიძლება კიდევ უფრო იქითაც, უსასრულობამდე თუ არ მივაქცევთ ყურადღებას კრემლის წითელ ხაზებს; კოსოვოს კრიზისი ომიდან 2008 წლის დამოუკიდებლობამდე, გამოფიტული საბჭო რუსეთი-ნატო, და აი, ახლა დასავლეთს აქვს რუსეთი, რომელიც არასოდეს ეხატებოდა გულზე და რომლის რისხვამაც დასავლეთის პოლიტიკას 1990-იანი წლებიდან ბევრი უბედურება და ზიანი მოუტანა.

იწყება ახალი დიდი თამაში და იგი შეიძლება კონტროლიდან გამოვიდეს. ამერიკის უპასუხისმგებლო ახალი პოლიტიკა ეხება რუსეთის იმპერიულ ინსტინქტებსა და პოტენციალს. მოთამაშეები ზრდიან ფსონს და ივიწყებენ გაკვეთილებს, რომლებიც მათ წაგებით და საფუძვლიანად აითვისეს ცივი ომის პერიოდში: არასოდეს არ მიხვიდე ძალიან ახლოს ერთი მეორესთან დაღუპვის საფრთხის გამო.

საკითხი შეეხება არა მხოლოდ წესრიგის დამყარებას პოსტსაბჭოთა სივრცეში. საკითხი შეეხება „პაქს ამერიკანის" (ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური იდეოლოგიაძ გავრცელებას ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. უწინარეს ყოვლისა, საკითხი ეხება ევროპას ატლანტიკასა და ევრაზიას შორის, დაძაბულ შეერთებულ შტატებსა და ნავთობს, გაზს, ნავთობ დოლარებსა და ტანკებს შორის, რომლებიც ქმნიან რუსეთის ახალ ძალას. ევროპელები გათიშულები არიან აღმოსავლეთად, რომელიც ჯერ კიდევ განიცდიან საბჭოთა ბატონობის ტრავმას და რომლებსაც ურჩევნიათ იყვნენ ახალი ვარსკვლავები ცაზე, და დასავლეთად, რომელსაც სურს სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან, ოღონდ არ განმეორდეს ცივი ომი.

რუსეთი კვლავ ეძებს ბატონობას კავკასიაზე და დამატებით კიდევ კონტროლს ნავთობ და გაზსადენებზე. 1990 წლიდან „გაყინულმა" კონფლიქტებმა ლღობა იწყეს. რუსეთს სურს თავიდან აიცილოს ამერიკის ხელისუფლების შემდგომი გაფართოება და ბლოკავს ნატოს ნავთობის პოლიტიკით, დაშინებით, რომ დაიცავს ეთნიკურ რუსებს – დაახლოებით 25 მილიონ კაცს დასავლეთსა და სამხრეთში – სადაც არ გამორიცხავს სამხედრო ზემოქმედებას.

ვაშინგტონმა საქართველოში ვერ არჩია ვერც დემოკრატია, ვერც კლასიკური კრიზისული მენეჯმენტი. სეპარატისტურებში ვერ გაუკლავდნენ დაზავებასა და [illegible] – ანალიზსა და სტრატეგიას. ყველა ხელქვეითი, განსაკუთრებით ისრაელში, [illegible] და კი ამერიკა ახალ საფრთხეებს?

**მიხაელ შტიურმერი**

DIE WELT.de

# მედალი პუტინისთვის

**მამაცი, გაბედული, რისკიანი! ეს ეპითეტები გარკვეულწილად შეიძლება გამოვიყენოთ ჯონ მაკკეინისა და ალიასკის გუბერნატორის სარა პეილინის მისამართით. მაგრამ ბედის ირონიით ეს სიტყვები აღწერენ აგრეთვე ვლადიმერ პუტინს და რუსეთის საპასუხო მოქმედებებს საქართველოში. და ისევე, როგორც ომის დროს, სიმამაცე, გაბედულება და რისკი შეიძლება გადაიქცნენ კატასტროფულ წარუმატებლობად, და მედლადაც.**



პუტინს ჩვენ ვგმობთ, მაგრამ დაფიქრდით, რა გააკეთა პუტინმა ჩვენთვის. ერთი დარტყმით პუტინმა, შეიძლება, ერთპიროვნულად გადაარჩინა ევროპა ამერიკა, და, რასაკვირველია, ნატო ერთად აღებული. ვერავინ ვერ შეძლო დასავლეთში ჯორჯ უ. ბუშიდან ნიკოლა სარკოზამდე მიაღწია ამგვარი წარმატებისათვის.

საქართველოში რუსეთის შეჭრამდე ევროპა, ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო დაეხეტებოდნენ უმართავად პოსტსაბჭოთა ერაში. დასავლეთის ალიანსის შენარჩუნების სურვილით ბუშის ადმინისტრაცია ცდილობდა სტრატეგიული ერზაცებისა და 11 სექტემბრის სათადარიგო დაშინების სახით გამოეყენებინა გლობალური ომი ტერორთან ბრძოლისა და ავტორიტარული სახელმწიფოების დემოკრატიზაციისათვის. პირველმა გამოიწვია ნატოს ჯარების შესვლა ავღანეთში, სადაც დღითიდღე სიტუაცია უარესდება, იწვევს უქლიერს ცენტროხუშულ ძალებს, რომლებსაც შეუძლიათ გაწყვიტონ ალიანსი.

დანარჩენი ორი კი მტკიცედ იქნა უარყოფილი ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ.

უმრავლესობა იტყვის, რომ პუტინისათვის რაიმე დამსახურების აღიარება უპასუხისმგებლობა იქნებოდა. იგი გახდა არა მხოლოდ გულფიცხი დასავლეთთან ურთიერთობაში. ამჯერად მას თავი უჭირავს აშკარა მტრულად და საფრთხეს წარმოადგენს. იმისდა მიუხედავად, თუ ვინ ვისი პროვოცირება მოახდინა, რუსეთის შეტევა საქართველოს სიღრმეში აღიქმება, როგორც ანგარიშიანი საგანგებო რეაქცია ზედმეტი ძალების აშკარა გამოყენებით პოლიტიკური იდეიის განმტკიცებისათვის – აიო, მოსკოვთან ხუმრობა ცუდიაო. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის „ანექსიას", მან ბევრს ჰიტლერის აგრესია გაახსენა 1930-იან წლებში.

მაგრამ სწორედ ამ საფუძველზე იმსახურებს პუტინი მედალს. ნატოს უკვე ძალა გამოეცალა. 1949 წელს შექმნილი ეს სამხედრო ალიანსი, რომელიც უპირისპირდებოდა სსრ კავშირიდან მომავალ რეალურ სამხედრო საფრთხეს, „ბოროტების იმპერიის" დაშლის შემდეგ დაახლოებით 20 წლის უკან ნატოს წარუმატებლად ცდილობს მოეპოვებინა რაიმე დანიშნულება. ოპერაცია ავღანეთში ნატოსთვის უძლური გამოდგა – ევროპის ბევრი ქვეყანა დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ შეამციროს დანაკარგები ამ ალიანსის გამო.

პუტინმა გადაჭრა ეს დილემა. რუსეთის თავდასხმამ საქართველოზე არა მხოლოდ გააცოცხლა ცივი ომის სულისკვეთება. ევროპას აიძულებენ გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება რუსეთთან.

და ეს კარგია, ვინაიდან ახლა ნატოს უკვე შეუძლია დაუბრუნდეს თავის სამხედრო ალიანსის კომფორტულ მდგომარეობას, რომელიც არსებობს ევროპაში სამხედრო საფრთხის საპირისპიროდ. თავდაცვის მრეწველობა გადარჩენილია – მისი შემოსავლები უკვე აღარ ეცემა. პენტაგონს კი შეუძლია თავი აარიდოს ცხარე კამათს იმის შესახებ, თუ რომელი ომისთვის უნდა ემზადებოდეს – დიდი თუ მცირე ომისათვის.

რაც შეეხება რუსეთს – საცოდავს! – მისი მოსახლეობა შეადგენს 140 მილიონ კაცს, მისი სამხედრო საჰაერო სივრცე შეადგენს ევროპის სამხედრო საჰაერო სივრცის 5-6 პროცენტს, და რუსეთს აქვს კიდევ საერთო საზღვარი ჩინეთთან. შეიძლება, ქვეყანა არ იყოს მეგობრული, მაგრამ ნამდვილი მტერი იგი არ არის. თუმცა, ანგარიშიდან პუტინს ნუ მოხსნით, მან ხომ წარუდგინა დასავლეთს მტერი, რომელიც დასავლეთს არ სჭირდება. ეს კი ჩვენს უგუნურ დროში, შეიძლება, იმსახურებდეს მედლებს?

**ხარლან ულმენი**

The Washington Times

2008 წლის 30 სექტემბერს 12 სთ-ზე გაიმართება სს „დიდუბის წისქვილქარხნის" აქციონერთა საერთო კრება მისამართზე:
ქ. თბილისი, სტანისლავსკის ქ.№12

დღის წესრიგი:
1. საზოგადოების კაპიტალის შემცირების შესახებ;
2. აქციონერთა შესახებ;
3. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში;
4. სხვადასხვა.

აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად დანიშნულია 2008 წლის 28 სექტემბერი.
აქციონერებს კრებაზე თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ აქციათა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთა მისამართზე: ქ. თბილისი, სტანისლავსკის ქ.№12. ტელ: 899 54 23 20.

სამეთვალყურეო საბჭო

ეპოქა

სერგეი კრემლიოვი

# ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი




## ჯალათი თუ ბინძური პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლი?!

მადამ დოულმა – არ ვიცი, რამდენად ესმოდა ეს მას – ჩამოაყალიბა ყველა დროისა და ყველა ხალხის თავკერძთა ცხოვრებისეული კრედო ნებისმიერი წყობილების პირობებში. აი,ასეა, თუ ხრუშჩოვი და მისთანანი სტალინს კვერს არ უკრავდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის ამბობდა „არას“, ბერიასა და მისთანებს (მარტო ის როდი იყო კომპეტენტური პიროვნება სტალინის გარემოცვაშიძ სტალინის „არაზე“ შეეძლოთ ეთქვათ „დიახ“ – იმიტომ, რომ შეეძლოთ კომპეტენტურად დაესაბუთებინათ თავიანთი პოზიცია. იერარქიის სათავეში მყოფი სტალინი კი ვერ იტანდა სწორედ არაკომპეტენტურობას. ის პატივს სცემდა კომპეტენტურობას, მიესალმებოდა და აწინაურებდა მას. იმიტომ დააწინაურა მან ბერიაც.

ჯერ კიდევ 1924 წელს, როდესაც იწყებოდა კომპეტენტური სტალინის დაპირისპირება არაკომპეტენტურ ტროცკისთან, სტალინმა თავის ნაშრომში „ლენინიზმის საფუძვლები“ განსაზღვრა ლენინის სტილი, როგორც რუსული გაქანების შეხამება ამერიკულ საქმიანობასთან. ბერიაც ზუსტად შეესაბამებოდა ამ განსაზღვრებას. თანაც იმის შესაძლებლობა, რომ იცხოვროს სწორედ ამ სტილში, იყო მისთვის მთავარი სიამოვნება და ჯილდო.

## როცა ქართველობა ერთადერთ მთავარ დანაშაულად იქცა...

### და მადლი როგორ გახდა მატლი

ნებისმიერ დიდ – არა მხოლოდ მდგომარეობით, არამედ პიროვნული მასშტაბითაც – პოლიტიკოსს, დიდ სახელმწიფო მოღვაწეს სტალინს საბჭოთა კავშირში ჰქონდა თითქმის უსაზღვრო შესაძლებლობა, დაეკმაყოფილებინა საქმის კეთების წყურვილი! თუ, რა თქმა უნდა, შეგიძლია მისი კეთება და არა იმიტირება. მხოლოდ საბჭოთა კავშირში ბუნებით დიდ პოლიტიკოსს ეძლეოდა შესაძლებლობა, ემუშავა ალტაცებით, როგორც ბერიას.

აი რატომაა, რომ თუ ის ჩაუდგებოდა სათავეში ქვეყანას, ეს შემოქმედებითი, ახლის შექმნის ალტაცება გახდებოდა რუსეთის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ნერვი. ლიდერის კომპეტენტურობა ხომ დიდი ძალაა, განსაკუთრებით რუსეთთან დამოკიდებულებაში. სტალინის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, მოსწრებული იქნებოდა გვეთქვა: „ლიდერი წყვეტს ყველაფერს“, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ის – ლიდერია, ესე იგი აკეთებს იმას, რაც შეესაბამება ეპოქის მოთხოვნებს.

ეპოქის მოთხოვნებს კი შეესაბამებოდა ახალი, საერთო საქმისათვის თავდადებული, სოციალისტური პროფესიონალების ინიციატივისა და პოტენციალის სრული განთავისუფლება. და ამის გაკეთება სტალინის შემდეგ შეეძლო მხოლოდ ლ. პ. ბერიას.

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მე-9 სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე გენერალ-მაიორი დოკუჩაევი იხსენებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი კერძო საუბრებში აღიარებდა, რომ მისთვის გაუგებარი იყო სამი მომენტი საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში: პირველი – როგორ გაიმარჯვა მან ფაშიზმზე; მეორე – როგორ შეძლო მან ასე სწრაფად შეექმნა ატომური ბომბი; და მესამე – როგორ შეძლო გაგარინის კოსმოსში გაყვანა.

კისინჯერის კითხვებთან დაკავშირებით აი რა მინდა ვთქვა... საგულისხმოა, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიის სამივე საკვანძო მომენტში, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის გაოცებას იწვევდა, ბერიას როლი იყო ღირსშესანიშნავი მისი პირადი წვლილი აღმოჩნდა პირველხარისხოვანი გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეშიც, ურანის პრობლემის გადაჭრაშიც და საბჭოთა სარაკეტო დარგის ჩამოყალიბებაშიც.

მე არ მინდა ვთქვა, რომ სწორედ ბერიას წინაშეა ვალდებული საბჭოთა რუსეთი თავისი სამი დიდი მიღწევის გამო – ისინი უზრუნველყვეს ახალი ეპოქის ახალმა ადამიანებმა. მაგრამ ის, რომ ბერია იმყოფებოდა სახელმწიფოებრივი სამუშაოს დანის პირზე სამივე შემთხვევაში – ფაქტია.

რას ფიქრობდა იგი იმ დღეებში, როცა ბუნკერში იჯდა დაპატიმრების შემდეგ?

რას ფიქრობდა პირველ ღამეს?

მეორე ღამეს?

მესამე ღამეს?

მისი წერილები ბუნკერიდან რამდენადმე საშუალებას გვაძლევენ ვუპასუხოთ ამ კითხვას ასე: „ის ფიქრობდა ბევრ რამეზე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ფიქრობდა სახელმწიფო საქმეებზე და ფიქრობდა მათზე იმიტომ, რომ უკვე დიდი ხანი იყო, თავი ვერ წარმოედგინა ამ საქმეების გარეშე“.

### ეპილოგი

*ვამთავრებ ჩემს წიგნს და ახლა, როცა ბერიაზე ვიცი წარმოუდგენლად მეტი, ვიდრე ნახევარი წლის წინათ, შემიძლია ვთქვა, რომ კალამს მოვკიდე ხელი უწინარესად ყოვლისა იმისათვის, რათა გამეგო – როგორი კაცი იყო ბერია. ის, რომ მას ჰქონდა შესანიშნავი, უდიდესი ორგანიზატორის ნიჭი, მე, რომელმაც ოცდაათი წელი ვიმუშავე საიარაღო საქმეში, ვიცოდი დიდი ხანია. მაგრამ ჰქონდა მას ადამიანობის ნიჭიც?*

*და, აი, ახლა, როცა ვიცი გაცილებით მეტი, ვიდრე ვიცოდი, ვაცხადებ: ეს წიგნი დავწერე, რათა გავამართლო, მარტივად რომ ვთქვა, ჩამოვრეცხო ლავრენტი ბერიას მისთვის შესხმული ტალახი.*

*2000 წლის მაისში მთავარმა სამხედრო პროკურორმა, იუსტიციის გენერალ-პოლკოვნიკმა დომინმა მიმართა რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას თხოვნით, „აღიარებული იქნენ ბერია ლავრენტი პავლეს ძე, მერკულოვი ვსევოლოდ ნიკოლაის ძე, დეკანოზოვი ვლადიმირ გიორგის ძე, ქობულოვი ბოგდან ზახარის ძე, გოგლიძე სერგი არსენის ძე, მეშიკი პაველ იაკობის ძე და ვლოძიმირსკი ლევ ემელიანის ძე, პიროვნებებად, რომლებიც არ ექვემდებარებიან რეაბილიტაციას“.*

*ზუსტად ორი წლის შემდეგ, 2002 წლის 29 მაისს, სამხედრო კოლეგიამ გამოიტანა დასკვნა, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე ა.უკოლოვი და მოსამართლეები ი.პარხომჩუკი და ა.პეტროჩენკოვი. დასკვნის მიხედვით, 1953 წლის 23 დეკემბრის სპეციალური სასამართლო დასწრების განაჩენი დეკანოზოვის, მეშიკისა და ვლოძიმირსკის მიმართ იცვლებოდა და მათი მოქმედების კვალიფიკაცია შეიცვალა ისე, რომ 1953 წელს დახვრეტილ ხალხს 2002 წელს მიესაჯათ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.*

*დანარჩენთა მიმართ სამხედრო კოლეგიამ დააკმაყოფილა დიომინის თხოვნა და ბერია ლავრენტი პავლეს ძე, მერკულოვი ვსევოლოდ ნიკოლაის ძე, ქობულოვი ბოგდან ზახარის ძე, გოგლიძე სერგი არსენის ძე მიჩნეული იქნენ პიროვნებებად, რომლებიც არ ექვემდებარებიან რეაბილიტაციას.*

*რას იზამ: ისეთ ფიგურებს, როგორიცაა ლავრენტი ბერია, ასამართლებს და რეაბილიტაციას ახდენს არა ხალხის სასამართლო, არამედ ისტორიის სასამართლო... იგი კი, ადრე თუ გვიან, მოახდენს ლავრენტი ბერიას რეაბილიტაციას და მეც იმედი მაქვს, რომ ჩემი წიგნი დაეხმარება, როგორც ბერიას და მისი ეპოქის სრული რეაბილიტაციის საქმეს, ისე ჩემი თანამედროვეებისა და თანამოქალაქეების მიერ სწორი წარმოდგენის შექმნის საქმეს თავისი სამშობლოს დიდ წარსულზე.*

*სწორედ ასეთ წარსულზე სწორი შეხედულების შექმნით შევძლებთ უზრუნველვყოთ ჩვენი ისტორიული მომავალი.*

დასასრული. დასაწყისი

იხ. „სრ“ № 155-165.

პოზიცია

# ფარმან ჯეირანლი: მსოფლიო ხედავს, რომ რუსეთში ნამდვილი ფაშიზმი მძვინვარებს

(მეექვსე გვერდიდან)

**– პროცესი რით დასრულდება?**

– თუ გახსოვთ, 1990-იან წლებში რუსული სამხედრო აგრესიის შემდეგ საქართველომ, აზერბაიჯანმა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა საბჭოთა კავშირიდან გასვლაზე განცხადებების გაკეთება დაიწყეს. მაშინ ყველა ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა რუსეთის ფედერაციის დაშლის დასაწყისი იყო. ეს მართლაც ასეა, მაგრამ 1991 წლის ბოლოს დსთ-ს შექმნით ეს პროცესი ცოტა გაჭიანურდა. იუგოსლავიის მძიმე დრო გაიხსენეთ, რუსეთსაც მსგავსი რამ ელის. მაგრამ ვფიქრობ, რომ, ამჯერად პროცესის უვნებლად და უმტკივნეულოდ ჩატარებისთვის მსოფლიო ერთიანობა ყველა საჭირო ზომებს მიიღებს. მოდით, ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, რომ რუსეთის ფედერაციული სუბიექტების უმრავლესობა – თათრეთი, ბაშკირეთი, ჩუვაშია, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები... რუსეთთან გამიჯვნის ჯამს ელიან.

**– ეს პროცესი აზერბაიჯანს გვერდს აუვლის?**

– მთიანი ყარაბახის ბედიც საქართველოში გაირკვევა. ზოგადად, მე ასე ვიტყოდი, – მთელი კავკასიის ბედი დღეს საქართველოში წყდება...

**– კი მაგრამ, ლავროვი ამბობს, რომ...**

– რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ლაპარაკი ახლა აღარ ღირს. ამ საკითხში რუსეთის მთავარი არგუმენტი ის არის რომ, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი პატარა რეგიონებია და საქართველო მასზე სუსტ რეგიონებზე ძალადობას ახორციელებს. მაგრამ, მსოფლიო ხედავს, რუსეთი თავისზე 30-40 ჯერ პატარა საქართველოს რას უკეთებს! რუსეთის ჯარი ჯერაც საქართველოს ტერიტორიაზეა და მას ანადგურებს. რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი კი საქართველოს შემადგენელი ნაწილებია. ამას რა უნდა დავარქვათ? აშკარად ჩანს, რომ რუსეთი თავის აგრესიას განაგრძობს და კეთილი ნებით მას არ შეაჩერებს. მსოფლიო ერთიანობამ ამ საკითხში თავისი სიტყვა უნდა თქვას. რადგან, საქართველოში მიმდინარე მოვლენები მთელი კავკასიის რეგიონისთვის ისტორიული გამოცდაა...

**– ალბათ გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დღეს ვინმე საქით ალაჰვერდიევი „ბორჩალოელების სახელით საქართველოს მთავრობას აკრიტიკებს, საქართველოს შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებს...**

– მაქვს ინფორმაცია, რომ პიროვნება,რომელსაც საქით ალაჰვერდიევს ეძახიან, ბორჩალოში კი არა, საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე არ ცხოვრობს. ის მოსკოვში ცხოვრობს და რუსეთის გენერალია. ეს თანამდებობა მას „ავანსად“ მისცეს. ახლა კი ის, უაზრო განცხადებებით ამ „ავანსს“ აბრუნებს. მას ბორჩალოს მოსახლეობაში არანაირი ავტორიტეტი არ აქვს და მისთვის არასასურველ პერსონად ითვლება. საქით ალაჰვერდიევს ბორჩალოელების და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების სახელით განცხადებების გაკეთების არც იურიდიული და არც მორალური უფლება არა აქვს!

ესაუბრა
**გასიმ გასიმლი**

ფეხბურთი

# დღეს, ხვალ

**მინსკი და მაინცი — ეს ის ქალაქებია, სადაც საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები უმნიშვნელოვანეს მატჩებს გამართავენ.**

მათგან პირველნი ბრძოლაში პეტარ სეგრტის შეგირდები ჩაებმებიან. დიახ, ბრძოლაში, რადგან რუს თანატოლებთან შეხვედრა, დაგვეთანხმებით, სცილდება სპორტის ფარგლებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის აღნიშნული თამაშისთვის, მოგეხსენებათ, მოსკოვს უნდა ემასპინძლა, მაგრამ პოლიტიკურად ცხელი აგვისტოს ფაქტორის გათვალისწინებით, ქართული მხარის თხოვნით, უეფამ იგი ბელორუსიის დედაქალაქში გადაიტანა. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში „ჯვაროსნებმა“ ჩრდილოელ მეტოქეს 2:0 სძლიეს.



გულშემატკივრებს ვაუწყებთ, რომ დღევანდელი დუელის პირდაპირ ტელერეპორტაჟს მინსკის „ტრაქტორის“ სტადიონიდან „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ 17 საათიდან შემოგვთავაზებს.

რაც შეეხება ექტორ რაულ კუპერის გუნდს, იგი სრული შემადგენლობითაა დაბინავებული მაინცის სასტუმრო „ჰაიათში“ და ირლანდიელებს ხვალ თბილისის დროით 23 საათზე უმასპინძლებს ამ გერმანული ქალაქის „ბრუხვეგშტადიონზე“. პარტნიორებს უკანასკნელნი ყაზანის „რუბინის“ ლეგიონერები სალუქვაძე და კვირკველია შეუერთდნენ, რომლებიც ოჯახური პრობლემების გამო შეფერხდნენ.

როგორც სფფ პრეს-ატაშე სანდრო ცნობილაძემ შეგვატყობინა, ერთ-ერთ ვარჯიშზე მსუბუქად დაშავდა იაშვილი, თუმცა იგი, ალბათ, მოასწრებს სასტარტო სასტვენამდე მწყობრში დაბრუნებას.

იგივე შეიძლება ითქვას ბრიტანელების დანისა და კილბეინის შესახებაც, რომლებიც „სამყურათა“ ტრავმირებული ლიდერის დაფის არყოფნაში საკვანძო ფიგურებად მოგვევლინებიან.

დავძენთ, რომ თანამემამულეთა გასამხნევებლად ტრიბუნებზე 2500 ქართველი და 4800 ირლანდიელი ქომაგი შეიკრიბება. სწორედ ასეთი კვოტები განისაზღვრა საქართველოსა და ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციათა მესვეურებს შორის მიღწეული შეთანხმებით.

და ბოლოს, ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით: ფიფას მიერ გამოქვეყნებულ უკანასკნელ რეიტინგში „ჯვაროსნებმა“ წინა თვესთან შედარებით ერთბაშად 9 ადგილით წაიწიეს წინ და სადღეისოდ 77-ე პოზიცია უკავიათ, ჯოვანი ტრაპატონის კრებული კი მსოფლიოში 38-ეა.

**საუკეთესო ათეული:** ესპანეთი, იტალია, გერმანია, ჰოლანდია, ხორვატეთი, ბრაზილია, არგენტინა, ჩეხეთი, პორტუგალია, თურქეთი.

პლაჟბურთი

# ოლიმპის ბინადარნი

**პეკინის ოლიმპიადის ნახევარფინალისტებმა — რენატომ და ჟორჟმა, გეორ-გიას სახელით რომ ასპარეზობენ, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ვაჟთა ახალ რეიტინგში მე-11 ადგილზე გადაინაცვლეს. წლეულს გამართულ კომერციულ ტურნირებზე ბრაზილიელებმა უკვე 72 200 დოლარი გამოიმუშავეს და ამჟამად 3004 ჩასათვლელი ქულა გააჩნიათ.**

რაც შეეხება ასევე ბრაზილიელთა წყვილს კრისტინასა და ანდრეას შემადგენლობით, რომელსაც საქა-რთველო ეწოდება, იგი ქალთა კლასიფიკაციაში 2312 ქულით მე-20 პოზიცია უკავია და მისი სეზონური მონაგარი 58800 დოლარს შეადგენს.

აქვე გაუწყებთ, რომ წამყვან საფეხურებზე ბრაზილიელები და ჩინელები იმყოფებიან.



ოლიმპიადის ექო



## სიმღერა — მილიონერი

**ასეთია პეკინის ოლიმპიური თამაშების მთავარი სიმღერა „შენ და მე“.**

**ჩინეთის მცხოვრებლებმა სარეკორდო 10 მილიონჯერ ჩატვირთეს ის თავიანთ მობილურ ტელეფონებში, — ეს განაცხადა ჩინური მობილური კავშირის კომპანიის „ჩაინა მობაილის“ წარმომადგენლებმა ლუ ვენჩინმა — ეს რეკორდია ოლიმპიური თამაშების მთელს ისტორიაში.**

მან ასევე განაცხადა, რომ ოლიმპიადების ისტორიაში არცერთი სიმღერა არ სარგებლობდა ისეთი პოპულარობით, როგორც „შენ და მე“.

კომპანია „ჩაინა მობაილი“ პეკინის თამაშების ოფიციალური პარტნიორი იყო. არაოფიციალური სტატისტიკით, 500 მილიონზე მეტი ჩინელი სარგებლობს ამ მობილური კავშირით, რაც იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიური სიმღერა „შენ და მე“ ჩინეთში გაცილებით მეტ მობილურ ტელეფონზე აჟღერდება.

## მიაფურთხე? — ეგეც შენ!

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფამ) ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა სერბეთის ნაკრების მოთამაშე სლობოდან რაიკოვიჩს პეკინში ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის ქვეჯგუფში სერბეთი — არგენტინის მატჩზე მსაჯისთვის შეფურთხების გამო.**

13 აგვისტოს მატჩის დამთავრების შემდეგ დამარცხებით (0:2) და ვითომდა ცუდი მსაჯობის გამო განაწყენებულმა სერბმა ფეხბურთელმა მოწმეების თანდასწრებით მიაფურთხა შეხვედრის მთავარ მსაჯს, ომანელ აბდუკარ ალ — ჰილიარის.

არასპორტული საქციელისთვის სადისციპლინო კომისიამ ციურიხში ფეხბურთელის მარტო დისკვალიფიკაცია კი არ დაადგინა, არამედ ის ორი ათასი შვეიცარული ფრანკითაც დააჯარიმა.



„მსაჯისთვის მიფურთხება განსაკუთრებით სერიოზულ დანაშაულად ითვლება, ფიზიკურ ზემოქმედებასთან თანაბრად. დისკვალიფიკაცია არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საერთაშორისო შეხვედრებზე გამოსვლების შეზღუდვით. დასჯას უნდა ჰქონდეს კონკრეტული ეფექტი მოთამაშის როგორც ფსიქოლოგიურ, ისე პროფესიულ მდგომარეობაზე, რათა მან შეიგნოს თავისი არაადეკვატური საქციელის ნეგატიური შედეგი და გაფრთხილდეს შემდგომში ასეთი საქციელისგან“, — ნათქვამია ფიფას ინფორმაციაში.

19 წლის რაიკოვიჩი ითვლება სერბეთის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელად. მას კონტრაქტი აქვს ლონდონის „ჩელსისთან“, მაგრამ არენდის უფლებით გამოდიოდა ჰოლანდიურ „ტვენტეში“.

ინტერნეტიდან



## ნეტავ რა ეკალათბურთებოდა?

**ინიციატივა ზოგჯერ ისჯება. ეს პოსტულატი თავის თავზე განიცადა ბრემენის „ვერდერისა“ და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა ტორსტენ ფრინგსმა, კალათბურთის მოედანზე ცხვირი რომ გაიტეხა.**

ფრინგსმა ტრავმა მიიღო ბრემენელ თანაკლუბელებთან საჯარო ღონისძიებაზე კალათბურთის თამაშის დროს. ახლა ნახევარმცველს მოუწევს ორი მატჩის გამოტოვება 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე (ჩემპიონატი კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უნდა გაიმართოს). ის ვერ ითამაშებს ლიხტენშტეინისა და ფინეთის ნაკრებებთან შეხვედრებში. პირველი მატჩი შაბათს გაიმართება, მეორე კი — ოთხი დღით გვიან.

გერმანიის ნაკრები D ჯგუფში თამაშობს. იქვე არიან რუსეთის, უელსისა და აზერბაიჯანის ნაკრებები. ფრინგსის გარდა, ალბათ პირველ ორ მატჩს გამოტოვებს გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკიც მარცხენა ტერფის ტრავმის გამო.

## ბეისბოლისტი თუ რეჟისორი?

**ახლა დასავლეთში ბევრს ლაპარაკობენ მადონასა და „ნიუ-იორკ ანკიზის“ ბეისბოლისტის ალექს როდრიგესის რომანზე. თუმცა გადაწყვეტით ვერაფერს ამბობენ.**

მადონამ ახლახან იუბილე იზეიმა — მას 50 წელი შეუსრულდა. ამან ერთხელ კიდევ გაუჩინა სალაპარაკო ჭორიკანებს, ბევრს კი ისიც გაახსენდა, რომ ის მიუწვდომელი და განუმეორებელია. მაგრამ ბოროტი ენები მაინც ცდილობდნენ მის „გაყრას“ ახლანდელ ქმართან, რეჟისორ გაი რიჩთან. ისევ გაი რიჩი დარჩება, თუ მრავალ რიცხოვან დღესასწაულებს ალექსი დაესწრება? ეს ხომ მადონას პირადი ცხოვრების პრობლემებია.



თუმცა ბევრის გასაოცრად ბოლო საღამოებზე ალექსი არ ყოფილა, სამაგიეროდ იყო ქმარი.

თუმცა ამან ბევრს სალაპარაკო როდი გამოულია. „ალექსი, — ამბობენ ისინი, — ახლა ბეისბოლს თამაშობს. ვნახოთ, რა მოხდება, სეზონი რომ დამთავრდება?“.

ჭადრაკი

# ირანი — თურქეთი

**მორიგი წარმატებით გაგვახარა ახალგაზრდა დიდოსტატმა მერაბ გაგუნაშვილმა.**

ირანის ქალაქ ურმიაში დასრულებულ საერთაშორისო ტურნირზე ჩვენმა თანამემამულემ 11 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა, იმდენივე, რამდენიც აზერბაიჯანელმა იბრაჰიმოვმა, სომეხმა ბაბუჯიანმა და მასპინძლებმა — ტუფიგიმ და მაგემიმ. მთავარი პრიზის ბედი გაგუნაშვილის სასარგებლოდ დამატებითმა ინდივიდუალურმა მაჩვენებლებმა გადაწყვიტა.

სასიამოვნოა, რომ შვეიცარიული სისტემით და 283 მოჭადრაკის მონაწილეობით გამართული ასპარეზობის საპატიო მეექვსე ადგილის მფლობელი 8,5 ქულით ვალერიან გაფრინდაშვილი გახდა.

* * *



**არანაკლებ პერსპექტიულად გამოიყურება ქართველთა შანსები თურქეთის ქალაქ იზმირში მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც 5 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით თორნიკე სანიკიძე დაწინაურდა. მისი უკანასკნელი მსხვერპლი ფიდეს ადგილობრივი ოსტატი ამირ სოზანკარი თეთრი ფიგურებით თამაშობდა.**

ერთპიროვნულ ლიდერს ნახევარი ქულით 12 მდევარი ჩამორჩება, რომელთა შორისაც 4 ჩვენებურია — დავით ჯოჯუა, მალხაზ სულაშვილი, დავით მალალაშვილი და მაკა ფურცელაძე.

271 მონაწილის დავაში ანა გავაშელმა ჯერჯერობით 4 ქულა მოაგროვა, ნინო ბაციაშვილმა — 3,5, ხოლო ბაჩანა მორჩიაშვილმა — 3 ქულა.

ფინიშამდე 5 ტურია დარჩენილი.

ცოცხლად — ხსოვნაში

# მარად დაუვიწყარი თეიმურაზ ჩირგაძე

ცნობილი ექიმი-პარაზიტოლოგი, მედიცინის დოქტორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე თეიმურაზ ვლადიმერის ძე ჩირგაძე დაიბადა 1928 წლის 5 სექტემბერს ქ. ბორჯომში, ექიმის ოჯახში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა ქ. თბილისში 1945 წელს, იმავე წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1951 წლიდან 1957 წლამდე, მსახურობდა საბჭოთა არმიის ნაწილებში ექიმად. დემობილიზაციის შემდეგ იგი ჩაირიცხა ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჯერ კლინიკურ ორდინატურაში, ხოლო შემდეგ ასპირანტურაში. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ინსტიტუტის ეპიდგანყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად, სწავლულ მდივნად, დიზენტერიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად, სამეცნიერო-სამედიცინო ინფორმაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელად, სამედიცინო გეოგრაფიის ქვეგანყოფილების ხელმძღვანელად. 1992 წელს იგი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, ხოლო 1993 წლის მაისში — ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე.

ასე გაიარა თეიმურაზ ჩირგაძემ საკმაოდ დიდი გზა ინსტიტუტის ძირითად განყოფილებებში და ჩამოყალიბდა როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის დარგში. მის მიერ შესრულებულია 61 სამეცნიერო შრომა, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საზღვარგარეთ, ისე რესპუბლიკურ სამედიცინო პრესაში. მის შრომებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

კეთილსინდისიერი და მაღალპროფესიული მუშაობისთვის ბატონ თეიმურაზ ჩირგაძეს მიღებული ჰქონდა სხვადასხვა სამთავრობო ჯილდო. სამედიცინო პარაზიტოლოგიის დარგის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისა და მოსახლეობის გაჯანსაღებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით“, „ჯანდაცვის ფრიადოსნის“ ნიშნით, მედლით „შრომის ვეტერანი“. იგი, როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი და უაღრესად ერუდირებული ადამიანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ინსტიტუტის კოლექტივში, ისე ფართო სამედიცინო საზოგადოებაში. სიყვარულით



მას ყველა თემიკოს ან ჩირგოს ეძახდა.

თემიკო გამორჩეული იყო როგორც მოქალაქე, ქვეყნის პატრიოტი, ულალატო მეგობარი. საზოგადოებამ იგი სიცოცხლეშივე აღიარა ქალაქის კოლორიტულ პიროვნებად.

ჩირგაძეების ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ თემიკოს მეგობრები, ჩვენი დედაქალაქის ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები. თემიკოს სხვანაირად ცხოვრება არ შეეძლო. ის დღე, როცა მეგობრები გვერდით არ ჰყავდა, მისთვის დაკარგული დღე იყო. არც მეგობრებს შეეძლოთ უმისოდ. თემიკოს ყველას გულში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა, რადგან იგი ხალისითა და სიკეთით განაწყობდა ყველას, ვისთანაც ის ურთიერთობდა, გაჭირვებულთა თანადგომა ხომ მისი პიროვნული მოწოდება იყო.

ახლა როგორი თამადა იყო!.. მისი მართლაც მშვენიერი სადღეგრძელოებიდან ერთი მოზრდილი კრებული შეიძლება გამოიცეს. ჰქონდა არაჩვეულებრივი იმპროვიზაციის ნიჭი. მისი ყველა სადღეგრძელო იუმორით იყო სავსე და მხიარულ განწყობას ქმნიდა თანამესუფრეებში.

იუმორი მას ძნელბედობის ჟამსაც არ ღალატობდა. ასე, მაგალითად, ერთხელ ის ჯანდაცვის სამინისტროდან გამოვიდა, სადაც მისული იყო ინსტიტუტის რემონტის დაფინანსების სათხოვნელად. უარით გამოისტუმრეს და შეწუხებული მოდიოდა. ამ დროს მას შეხვდა ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, პროფესორ გიორგი მარუაშვილი ვაჟი — მერაბ მარუაშვილი, რომელმაც თემიკო მოიკითხა: „თემიკო ბატონო, როგორ ბრძანდებითო“. თემიკომ თავისი ჩვეული იუმორით უპასუხა, როგორ ვარ, ჩემო კარგო, და რაც მამაშენმა დაგვიტოვა, ვანგრევ, ვანგრევ და ვერ დავანგრიეო, „ცისფერ მთებში“ გადაღებულ როლს ინსტიტუტში ვიმეორებო.

თემიკომ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა საქართველოს კინემატოგრაფიაში. მან რამდენიმე ფილმში მიიღო მონაწილეობა. ის არ იყო პროფესიონალი მსახიობი, მაგრამ უმაღლეს დონეზე შეასრულა ერთ-ერთი მთავარი როლი კინოსურათ „ცისფერ მთებში“, რითაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

1995 წელს თ. ჩირგაძე არჩეული იქნა თბილისის საპატიო მოქალაქედ. მისი სახელის უკვდავსაყოფად ქ. თბილისის ვაკის რაიონის ერთ-ერთ ქუჩას მიკუთვნებული აქვს თ. ჩირგაძის სახელი.

აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, დიდ სამეგობროს, ჭირსა და ლხინში უახლოეს ადამიანებთან ყოფნას თემიკოსთვის ხელი არ შეუშლია, თავის ერთგულ მეუღლესთან და ცხოვრების დიდ მეგობართან, ქალბატონ კლარასთან ერთად ღირსეულად გაეგრძელებინა უძველესი ქართული ოჯახის ტრადიციები. სასახელოდ აღზარდა საფიცარი შვილები — ნინკა და ბუბა. შვილიშვილებზე ხომ, როგორც იტყვიან, მზე ამოსდიოდა... სამწუხაროა, რომ ვერ მოესწრო შვილთაშვილის — თეიმურაზ ჩირგაძის დაბადებას.

5 სექტემბერს ბატონ თეიმურაზ ჩირგაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა, გულდასაწყვეტია მისი ნაადრევი წასვლა ამქვეყნიდან, მაგრამ მასთან გატარებული დღეები მარადჟამს დაუვიწყარ, ტკბილ მოგონებად დარჩება ყველა მისი თანამშრომლისა და მეგობრის გულში.

**გია ჭუბაბრია,**

სს „ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი.

გამოსათხოვარი

# გივი ბაკურაძე — კაცობისა და პატიოსნების ნიმუში



ჭეშმარიტი მამულიშვილი დააკლდა სრულიად საქართველოს. გარდაიცვალა გივი ბაკურაძე, კაი ყმა, სინდისისა და ნამუსის განსახიერება, სამშობლოსა და ქართული სულის საოცარი, გამორჩეული სინაზით მოყვარული, ჭეშმარიტი მეგობარი და ღირსსახსენებელი მოღვაწე. მან ნარ-ეკლიანი, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. იყო თბილისის ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირის პირველი მდივანი, მერე ალმასკომის თავმჯდომარე, შემდგომ — რაიკომის პირველი მდივანი, ერთხანს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსადაც მუშაობდა, ბოლოს ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ დააწინაურეს. უთუოდ აღსანიშნავია, რომ სადაც კი იყო, ყველგან უბრალოებითა და გულისხმიერებით გამოირჩეოდა. როცა ის შსს-ში სამმართველოს უფროსად განამწესეს, მრავალნი, მათ შორის ე.წ. შავი პოლკოვნიკები, ამბობდნენ, ცოტა ხანში მას ვეღარ იცნობთ, სისხლს გამოუცვლიანო.

ვერ გამოუცვალეს, ადამიანობა და წესიერება ვერ წაჰგვარეს. გივი ბაკურაძე არ სდევდა ჟამთასვლას, არც მაღალი თანამდებობა აკვირვებდა და არც როდის არ დაუკარგავს საკუთარი ღირსების გრძნობა. მისი წესიერების თაობაზე ლეგენდები დადიოდა. ასეც იყო სინამდვილეში. არ გვეგულება ადამიანი, რომელიც ამ გულმართალ კაცს იცნობდა და აუგი ეთქვას მასზე.

უყვარდა შრომა, მეგობრებთან ლხინი, სიმღერა, ლექსები, რომლებსაც ხშირად წარმოთქვამდა. უამრავი ლექსი ზეპირად იცოდა. განსაკუთრებით ხიბლავდა გალაკტიონის პოეზია და საოცარი შემართებითა და აღტყინებით კითხულობდა „ლურჯა ცხენებს“! ახლაც ჩაგვესმის მისი ხავერდოვანი ხმა:

მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა.
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.
სიზმარიან ჩვენებით — ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით, ყველანი აქ არიან!

გარდაუვლად ყოველი ჩვენგანი შენთან მოვესვენებით, ჩვენო გივი, მანამდე კი შენმა წასვლამ გული მოუკლა მანანას — შენს უძვირფასეს მეუღლეს, შენს შვილებს, შენს შვილიშვილებს, რომელთაც სიცოცხლის უკანასკნელ წამს საშველად უხმე, მაგრამ ვაი, რომ ვერც უცოდველმა ბავშვებმა გიშველეს და ვერც გულმოკლულმა, ჭარმაგმა მეგობრებმა.

ღრმად მგლოვიარეთ ერთი ნუგეშიღა გვასულდგმულებს: „ნეტარ არიან სიმართლისთვის დევნილნი, ვინაიდან მათია სასუფეველი ცათა“.

უმწიკვლოდ იცხოვრე, ჩვენო გივი, მარად სიმართლისთვის იღვწოდი და ნეტარი იქნები, როგორც ცათა სასუფეველში, ასევე ჭეშმარიტი ერიშვილების გულთა საუფლოში.

**მეგობრები**

საქართველოს ქალთა საბჭო თანაგრძნობას უცხადებს ქალთა საბჭოს აქტიურ წევრს ქალბატონ მანანა გოჩალეიშვილს მეუღლის

გივი ბაკურაძის

გარდაცვალების გამო.

განცხადება

## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს კონკურსს ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით

1. კონკურსის აუცილებელი პირობები:

ა) იჯარით გასაცემი ფართი წარმოადგენს:

— ეროვნული არქივის შენობის (მდებარე ვაჟა-ფშაველას გამზ., №1) 17-სართულიანი ნაწილის ფასადის კედელი (ვაჟა-ფშაველას გამზირის მხრიდან) — არაუმეტეს 600 კვადრატული მეტრისა;

ბ) იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს;

გ) გრძელვადიანი (1 წელზე მეტი ვადით) ხელშეკრულების გაფორმებისას კონკურსში მონაწილე პირმა უნდა გაითვალისწინოს არსებული ინფლაცია და საბაზრო ფასების ცვლილებები;

დ) განსათავსებული რეკლამის კონსტრუქციის ფორმა და ვიზუალურ-შინაარსობრივი მხარე წინასწარ უნდა შეთანხმდეს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოსთან — საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან;

ე) იჯარის პერიოდში გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება უნდა გადაიხადოს მეიჯარემ არსებული წესების დაცვით;

ვ) კონკურსის მონაწილემ წინადადებები წარმოადგინოს საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით;

ზ) კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, ხელშეკრულება გაფორმდეს იჯარის ხელშეკრულების იმ ფორმით, რომელიც კომისიის მიერ შეთანხმებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან. აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება პრეტენდენტს გასაცნობად გადაეცემა წინასწარ, განაცხადის შემოტანამდე, განაცხადის დადგენილ ფორმასთან ერთად;

თ) იჯარის მინიმალური ღირებულება თვეში უნდა იყოს არანაკლებ 15000 ლარისა დღგ-ს ჩათვლით (მიუხედავად ასათვისებელი ფართისა).

2. კონკურსანტებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ საკონკურსო კომისიაში დახურული (ბეჭდიანი) კონვერტით. განცხადებაშივე უნდა მიუთითონ: იჯარის ღირებულება თვეში დღგ-ს ჩათვლით, ლარებში; იჯარის ვადა; ასათვისებელი ფართის მოცულობა; თანხმობა კონკურსის აუცილებელ პირობებზე.

3. კონკურსანტების მიერ განაცხადის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2008 წლის 12 სექტემბრის 17.00 საათამდე.

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №1.**

**საკონტაქტო ტელეფონი:**

**37-28-02; 895-90-70-20.**

**საკონტაქტო პირი: გოგიტა ჭეჟია.**

განცხადება

**2008 წლის 25 სექტემბერს, 17 საათზე, თბილისში, მეველეს ქ. 20-ში მოწვეულია სააქციო საზოგადოება „კრისტალი-1887“-ის აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. სამეთვალყურეო საბჭოსა და გენ. დირექტორის 2006-2007 წლების ერთობლივი ანგარიშის დამტკიცება;

2. სააქციო საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ შეიცვალოს წესდების მე-9 მუხლის 93 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები)“.

3. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: თბილისი, მეველეს ქ. №20, ხოლო განმარტების მისაღებად, მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დაყენებული გენერალური დირექტორის წინაშე საერთო კრებამდე 10 დღით ადრე.

სააქციო საზოგადოება „კრისტალი-1887“-ის აქციონერებს საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება შეუძლიათ შეამოწმონ სააქციო საზოგადოება „კრისტალი-1887“-ის აქციონერთა რეესტრის მწარმოებელთან შპს „რეგისტრი“ 2008 წლის 15 სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ა.

**თბილისი, 2008 წლის 5 სექტემბერი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

### დაპირისპირება

**ოკუპანტების მიერ დაბომბილი ქართლის სოფლებიდან ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული ტყვიავია. აგრესორებმა და ოსმა ბანდიტებმა მოსახლეობის არაერთგზის გაძარცვა, მკვლელობა, ნასახლარად გადაქცევა არ იკმარეს, პურის ყანები, ბოსტნები, ბაღები გადაწვეს.**

**გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი ფეხით ჩამოვიდა დედაქალაქში. ტყვიაველთა ერთ შენობაში კომპაქტურად ჩასახლება ხელისუფლებამ ვერ მოახერხა. თავისი თანასოფლელების მიერ ყოფილ (ამჟამად დალუქულ) ოფისში ჩასახლება ითხოვა ხელისუფლებისაგან შერისხულმა და მასზე ძებნაგამოცხადებულმა ექს-თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა. დიდი ჟოჟმანის შემდეგ მთავრობამ გადაწყვიტა ტყვიავიდან დევნილთა ერთი ჯგუფი ათონელის №16-ში შეასახლებინა.**

# ვიღაცას ოქრუაშვილის ლანდი მოსვენებას არ აძლევს



კერძო საუბრებიდან ირკვევა, რომ ტყვიაველთა ოქრუაშვილის ყოფილ შტაბბინაში შესახლების დღიდან, მათ შენობასთან მუდამ ილანდებოდა „პატრულის“ ეკიპაჟი. ათონელის 16-ში მცხოვრებთა გადმოცემით ეს სავსებით მისაღები იქნებოდა, სხვა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებშიც, მაგრამ მსგავსი არსად ხდება. განა ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას აქვს იმის შესაძლებლობა და რესურსი, რომ თითოეულ შენობასთან თითო პატრულის მანქანა გამოყონ? — კითხულობენ ლტოლვილები.

იძულებით გადაადგილებულთა განცხადებით, ცოტა ხანში გაირკვა მათზე მზრუნველი პოლიციელის ყურადღების მიზეზიცა და მიზანიც.

რამდენიმე დღის წინათ, ღამის საათებში ათონელის 16-ში მცხოვრებნი, იძულებით ადგილნაცვალნი გია ჩერტიაშვილი, ილია ჩიხლაძე და ვასილ ჩიხლაძე შენობის შესასვლელთან იდგნენ. ბიჭები სიგარეტს ეწეოდნენ. ოფისზე მიმაგრებულმა პატრულმა ისინი შენიშნა და მათკენ მოძრაობა დაიწყო. დევნილებს მომავალი მანქანისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ისინი ლაპარაკ-ლაპარაკით გაშორდნენ შესასვლელ კარს და იქვე მდგარი ხისკენ გადაინაცვლეს. პოლიციელთა ეკიპაჟი „სამეულს“ მიადგა... თვითმხილველთა განმარტებით, პოლიციელებმა უხეშად მიმართეს მოსაუბრეებს. მოხდა შელაპარაკება. ორგანოს თანამშრომლები ახალგაზრდებს ფიზიკურად შეეხნენ. ატყდა ჩხუბი. პოლიციამ გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინა. სროლის ხმაზე შენობიდან დევნილები გამოვიდნენ. მათ მოახერხეს დაპირისპირებულთა დაშორიშორება. ჩიხლაძეები და ჩერტიაშვილი შენობაში შეიყვანეს. ამ დროს მოვიდა „პატრულის მიერ გამოძახებული დამხმარე ძალა. ოფისის მიმდებარე ტერიტორია აგრესიულად განწყობილი იარაღიანი პოლიციელებით გაივსო. ისინი შენობასთან მყოფ ხალხს დაერივნენ. დევნილები ყვიროდნენ — რას შვებით, ხალხო, ლტოლვილები ვართ. როგორც ამ ამბის ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს, გაგულისებული პოლიციელები ხალხს ლანძღავდნენ და „თქვე ოქრუაშვილის ბოზებოო“ — ეძახდნენ.

შეიარაღებულთა ჭარბმა ძალამ დევნილთა რიგები გაარღვია. მათ გატეხეს ოფისის შესასვლელი კარი. იპოვეს სამივე მსხვერპლი. აუარებელი დამსწრის წინაშე სცემეს მათ და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. შეშინებულმა მცხოვრებლებმა სახალხო დამცველ სოზარ სუბარს, ოპოზიციონერ კახა კუკავასა და ოქრუაშვილის პარტიის ერთ-ერთ ლიდერს ეკა ბესელიას მიმართეს. შემთხვევის ადგილზე მისულებმა ერთხმად განაცხადეს, რომ დღეს ვინმეს თუ სჭირდება მოფერება, უბედურებას გამოქცეული დევნილები არიან. მომხდარზე შსს-ს ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა მოახდინოს რეაგირება.

ეკა ბესელიას განცხადებით, საპატრულო პოლიციას ქვეყანაში შექმნილი ყოველმხრივ უმძიმესი პირობების დროს დევნილთა დარბევისათვის არ უნდა ეცალოს. ვინმეს ხელისუფლებაში თუ იმის ასოციაცია უჩნდება, რომ ოქრუაშვილის ოფისში შესახლებული მისივე თანასოფლელი დევნილები „სოციალურად მიუღებელნი“ არიან, ეს საგანგაშოა და ფაქტს აუცილებლად მიეცემა შეფასება.

რაც შეეხება ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ის საერთოდ არ აპირებს მომხდარზე რეაგირებას. მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარებიდან ირკვევა, რომ პატრულები უმიზეზოდ აუხირდნენ ქუჩაში მოსაუბრეთ. ძმები ჩიხლაძეები და ჩერტიაშვილი პოლიციაში მიყვანიდან ნახევარ საათში გაათავისუფლეს.

**ჯერჯერობით ვერ ხერხდება სამართალდამცავებისგან ოფიციალური ინფორმაციის მოპოვება, ვერც ის დგინდება, ამ ახალგაზრდებზე არის თუ არა სისხლის სამართლის საქმე აღძრული და რომელი მუხლით.**

**ზაზა ბილიხოძე**


უახლესი ტექნოლოგიები

# ჰაილიში



ალტერნატივა ქართულ ბაზარზე

ლარის ტიპის საყინულე მაცივარი, გასაწევი შუშებით. 400-750 ლიტრი მოცულობის

ევრო სტანდარტი
სრული კომპლექტაცია

| მოდელი | ზომა | | | ელ. ენერგიის მოხმარება | კალათების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| | სიგრძე | სიგანე | სიმაღლე | | |
| მ -108 | 660 | 578 | 977 | 1.2კვ/24სთ-ში | 1 |
| მ -168 | 1020 | 585 | 930 | 1.3კვ/24სთ-ში | 2 |
| მ -218 | 1100 | 605 | 965 | 1.6კვ/24სთ-ში | 2 |
| მ -278 | 1250 | 960 | 950 | 2.0კვ/24სთ-ში | 3 |
| მ -528 | 1705 | 745 | 990 | 3.8კვ/24სთ-ში | 5 |
| მ -668 | 1980 | 830 | 1040 | 5.0კვ/24სთ-ში | 5 |

მისაღები ფასები. საგარანტიო მომსახურება

ჩვენი მისამართია: თბილისი, კედიას 15 (ყოფილი კახოვკა, დიდუბეში)
ტელ: 35-20-50. 35-60-78

ელ-ფოსტა: tsikara@mail.ru; tsikara@yahoo.com


### დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია

**გერმანიაში შოპოჰოლიზმის (არასაჭირო ნივთებზე ფულის ფლანგვის ჩვეულებაძ მძიმე ფორმით დაავადებულია მოსახლეობის 18-20 პროცენტი. ცოტაც და, რუსებიც დაეწევიან გერმანელებს: რუსეთში მაღაზიების რაოდენობა ყოველწლიურად ორჯერ და მეტად იზრდება.**



### კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.